გაზეთი ბოლოვანი, „ბოლოანი“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№35 (930) 9 – 10 აპრილი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„მოვითხოვ, ან მე დამიჭირონ ცილისწამებისთვის, ან დამნაშავეები დაისაჯონ!“

გვ. 4

დევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროსთან უვადო საპროტესტო აქცია დაიწყო

„ქურდულს სჭირდება!“

ნაციონალებისა და „კანონიერი ქურდების“ პოლიტიკური გარიგება



გვ. 3

რა ფაქტებით ხსნიან პატიმრები შინაგან საქმეთა მინისტრის სკანდალურ განცხადებებს და ვინ გადაიხადა 150 ათასი დოლარი სტამბოლის სასტუმროში სისხლიანი გარჩევის „სკაიპით“ ყურებაში

უკრაინაში მაიდნის აქციების მხარდასაჭერად ჩასული ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ქართველ „კანონიერ ქურდებსა“ და კრიმინალურ ავტორიტეტებს შეხვდნენ. რადგან ქურდები სამშობლოში ვერ ბრუნდებიან, შუამავლის როლი ავტორიტეტებმა იკისრეს და კვირაში ერთხელ რამდენიმე ადამიანი საქართველოში ჩამოდის, შეხვედრებს მართავს და უკან მიფრინავს. სწორედ მათი დავალებაა, საქართველოში კრიმინალი გახშირდეს.

ვინ და რატომ აფერხებს ხუდონჰესის პროექტის განხორციელებას საქართველოში?

გვ. 6

ზვიად ძიძიგური

„მშვიდობიანი აქციის უფლება ყველას აქვს, მაგრამ კანონის დარღვევას არავის ვაპატიებთ, ვინ უნდა გაიმეოროს მაიდანი ან რა მოთხოვნით?“

გვ. 5

საქართველომ „თურქი-მესხების“ დაბრუნებაზე უარი განაცხადა

„როსიისკაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულია ვრცელი ინტერვიუ „თურქი-მესხების“ საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ვატანის“ ხელმძღვანელებთან — ჟავიდ ალიევსა და ფუად პეპინოვთან. როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 2007 წელს ევროსაბჭოს წინაშე „თურქი-მესხების“ სამშობლოში დაბრუნება ივალდებულა, საკითხი ამჟამად „გაყინულია“ და მკვდარი წერტილიდან არ იძვრის. მეტიც, „როსსიისკაია გაზეტას“ ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტი არ აპირებს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, ხოლო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე, რომელიც ორშაბათს, 14 აპრილს უნდა გაიხსნას, საქართველოს წარმომადგენლები შეეცდებიან, დაუმტკიცონ ევროპულ თანამეგობრობას, რომ „საკითხი უკვე დახურულია“ და „თურქი-მესხების“ საქართველოში ჩასახლების პროგრამა უნდა დასრულდეს.

როგორც ფუად პეპინოვი ამბობს, ასამბლეის სხდომაზე ქართველები შეეცდებიან, საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოსდა რეპატრიაციის პროგრამამ კარგად იმუშავა და ისტორიულ სამშობლოში ვისაც დაბრუნება სურდა, ყველა დაბრუნდა, თუმცა დღეს არსებული ვითარება საპირისპირო სურათს გვაჩვენებს: **„არავითარი დაბრუნება არ მომხდარა. საკმარისია ითქვას, რუსეთიდან, სადაც დაახლოებით 110 ათასი „თურქი-მესხი“ ცხოვრობს, 2007 წლიდან ანუ რეპატრიაციის კანონის მიღების დროიდან, საქართველოში არავინ დაბრუნებულა. დაკმაყოფილებულია მხოლოდ ერთი განცხადება, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ 2009 წელს 2 ათასამდე განცხადება შევაგროვეთ და მოსკოვში საქართველოს საკონსულოს გადავეცით. ზოგადად, დსთ-ს ყველა ქვეყნიდან მხოლოდ 1175 თურქ-მესხს მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი და ეს იმ დროს, როცა მსოფლიოს 9 ქვეყანაში დაახლოებით 400 ათასი „თურქი-მესხი“ ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ყველა საქართველოში არ დაბრუნდება, მაგრამ მათ ნაწილს წინაპართა სამშობლოში დასახლება ნამდვილად სურს. როცა საქართველომ 2007 წელს რეპატრიაციის კანონი მიიღო, ევროსაბჭომ მის შესრულებაზე მონიტორინგი დააწესა. თავდაპირველად განზრახული იყო, რომ მსურველთა განაცხადების მიღება 2009 წლამდე მოხდებოდა, მაგრამ, რადგანაც დოკუმენტები მცირე რაოდენობით შევიდა, დიდი ჭოჭმანის შემდეგ საქართველო ვადების გადაწევას დათანხმდა, მოგვიანებით კი ყველაფერი შეჩერდა. ამას დაემატა ის, რომ რეპატრიაციის პროცესში ბევრი პრობლემური საკითხი გაჩნდა: ჯერ ერთი, რომ რუსეთში თურქი-მესხები გლეხური სამუშაოებით არიან დაკავებული და პროვინციაში ცხოვრობენ, ამიტომაც ქართული კანონის არსებობის შესახებ ცოტამ თუ ვინმემ იცოდა; მეორე - შესაგროვებელი იყო 17 ცნობა, მათი უმეტესობა კი ინგლისურ ენაზე უნდა ყოფილიყო. მათზე დანახარჯები 600-700 დოლარს აღემატებოდა, რაც გლეხისათვის დიდი ტვირთია. ყველაზე მთავარი უარყოფითი მომენტი ის იყო, რომ განმცხადებელს უარი უნდა ეთქვა იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე, სადაც იგი ცხოვრობდა! აბა, წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: ადამიანმა უარი თქვა რუსეთის მოქალაქეობაზე, საქართველომ კი ამ დროს მისი თხოვნა დაბრუნებაზე არ დააკმაყოფილა. გამოდის, რომ მე აქ, რუსეთში, მოქალაქეობას ვკარგავ, საქართველოში კი არავინ მაძლევს...“.**

ჟავიდ ალიევის თქმით, ქართველები დაბეჯითებით მოითხოვდნენ, სიტყვა „თურქი“ არსად, არც ერთ დოკუმენტში არ ყოფილიყო ჩაწერილი.

„მათთვის ჩვენ მხოლოდ „დეპორტირებული მოსახლეობა“ ვართ. რაღას ვიზამდით, იძულებულნი გავხდით, დავთანხმებულიყავით, მაგრამ შემდეგ დაიწყო აგიტაცია ჩვენი ისტორიული სამშობლოს იმ რაიონების მოსახლეობაში, სადაც დაბრუნებას ვაპირებდით, რომ აი, აქ ახლა „თურქი-მესხები“ მოვლენ, ისინი მუსულმანები არიან და ისეთივე დაპირისპირება მოხდება, როგორც ეს ევროპაში ხდებაო. არადა, ჩვენ რამდენჯერმე დავადასტურეთ, რომ მშვიდობიანი ადამიანები ვართ, პოლიტიკიდან შორს ვდგავართ და მძიმე გლეხურ შრომას ვეწევით“.

ფუად პეპინოვმა აღნიშნა, რომ საქართველოში, ალბათ, 15-30 ათას „თურქ-მესხს“ სურს დაბრუნება, თუმცა ეს ციფრიც მიახლოებითია და ყველაფერი ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება, საქართველოს ხელისუფლებას არავითარი დახმარების გაწევა არ უნდა: **„გვთავაზობენ იმ რაიონებში ჩასახლებას, სადაც სრულიად სხვა ეთნოსი და ლტოლვილი ცხოვრობს. ჩვენი ისტორიული სამშობლო ახალციხეა და გარწმუნებთ, რომ იქ ჩვენ არავის სახლზე ან მიწაზე პრეტენზია არ გვექნება. იქ დღემდე არსებობენ ჩვენი მიტოვებული სოფლები და იქ დავსახლდებით“.**

„ვათანის“ ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში განცხადებებს უკვე 2011 წლიდან აღარ იღებენ. თბილისი რეაგირებას არ ახდენს აგრეთვე აზერბაიჯანიდან გადმოგზავნილ განცხადებებზე, რომელთა რაოდენობა 5600-ს აღწევს. მათი თქმით, „ვათანის“ ბაქოს ოფისში კიდევ ბევრი განცხადება ელოდება რეაგირებას, მაგრამ აშკარაა, რომ პასუხი არ იქნება.

ფუად პეპინოვი: „შარშან მაისში თბილისში ჩვენ ევროკავშირის წარმომადგენელთან თომას ჰამერბერგთან შეხვედრა მოვახერხეთ. მან ძალიან ყურადღებით მოგვისმინა და ჩვენი წინადადებები მოიწონა. ეს წინადადებებია: პირველი — რეპატრიაციის, რეაბილიტაციისა და მოქალაქეობის აღდგენის პროცესი არ უნდა შემოიფარგლოს რაიმე დროებითი ვადებით; მეორე - საქართველოში უნდა შეიქმნას ისეთი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც სპეციალურად იქნება დაკავებული თურქი-მესხების რეპატრიაციის პრობლემით; მესამე — მიღებულ იქნეს დებულება იმ პირების უვადო დაბრუნების შესახებ, რომლებთაც შეუძლიათ დოკუმენტების მიხედვით დაამტკიცონ თავიანთი წინაპრების მესხეთში ცხოვრების ფაქტი. ჰამერბერგმა ჩვენი კონცეფცია საკმარისად კონსტრუქციულად და გონივრულად მიიჩნია, თუმცა ამავე დროს გვესმის, რომ ქართველები ევროსაბჭოზე ზეწოლას ახდენენ: ისინი ყოველ სესიაზე განცხადებას აკეთებენ, რომ მათ უკვე თავიანთი ვალდებულება შეასრულეს. ჩვენ პრაგმატული დიალოგის მომხრენი ვართ, რათა ამ პრობლემის გადასაწყვეტად გამოსავალი მოვნახოთ, მაგრამ თბილისს ჩვენთვის დიალოგის გასაგრძელებლად არაფერი შეუთავაზებია“.

სიმონ კილაძე, „პირველი“

ვერსიანიუსი

გიგი უგულავა მოსამართლეს თხოვნით მიმართავს

დედაქალაქის ყოფილი მერი ითხოვს, თვითმმართველობის არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ, მის საქმეზე სასამართლო სხდომები დროებით შეჩერდეს და არჩევნების დასრულების შემდეგ გაგრძელდეს, არგუმენტად კი საკუთარ პარტიულ საქმიანობას ასახელებს და აცხადებს, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მის პოლიტიკურ დევნასა და ოპოზიციური პარტიის ჩამოშორებასთან დაკავშირებული ეჭვები უფრო გაუმყარდება.

ამ თხოვნაზე მოსამართლე გადაწყვეტილებას 16 აპრილს გამოაცხადებს, რადგან ტელეკომპანია „იმედისა“ და რიყის გასხვისების საქმეზე გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის მორიგი სასამართლო სხდომა სწორედ ამ დღეს გაიმართება. 8 აპრილს, პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ, კერძოდ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მთავარი აუდიტორი და ერთი ექსპერტი, რომლებმაც წინასწარი გამოძიების ეტაპზე დასკვნები მოამზადეს. ბრალდების მხარის თქმით, ეს დასკვნები ადასტურებს, რომ რიყის გასხვისების დროს, საბიუჯეტო თანხა არამიზნობრივად დაიხარჯა.

„პირველი“

ირაკლი ღარიბაშვილი: „თუ ვინმე დესტაბილიზაციას შეეცდება, მკაცრად დაისჯება“

პრემიერი შს მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება, სადაც ჭიკაიძე მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე საუბრობს. ღარიბაშვილის თქმით, თუ ვინმეს აღნიშნულის მცდელობა ექნება, **„ძალიან მკაცრად დაისჯება“.**

„ვერავინ გაბედავს რაიმე ფორმით, რაიმე სახით, რაიმე დესტაბილიზაციის მოწყობას. თუ ვინმეს ამის მცდელობა ან სურვილი ექნება, ძალიან მკაცრად დაისჯება — ვინც უნდა იყოს. მინდა. ყველას მაქსიმალურად სიმშვიდისკენ მოგიწოდოთ, დაგამშვიდოთ და სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში დესტაბილიზაციის მოწყობას ვერავინ შეძლებს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ჭიკაიძემ იმ საფრთხეებზე ისაუბრა **„რომელიც, შესაძლოა, არსებობდეს ქვეყანაში“: „რა ინფორმაცია არსებობს ამასთან დაკავშირებით, დეტალურად საუბარი ჩემგან არასწორი იქნება, ამაზე ისაუბრა მინისტრმა და სჯობს, მან განმარტოს. ვფიქრობ, რაიმე საგანგაშო მასში არაფერი ყოფილა. მინისტრმა ისაუბრა იმ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა არსებობდეს ქვეყანაში და იმ მიუღწეველ სურვილზე, რომელიც შეიძლება ჰქონდეს რომელიმე არანორმალურ ადამიანს“.**

„პირველი“

ეკა კვესიტაძე „რუსთავი 2“-ში წავიდა

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი სახე, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სამსახურიდან გაათავისუფლეს, ჟურნალისტურ მოღვაწეობას აგრძელებს. ამის შესახებ ინფორმაციას ეკა კვესიტაძე ავრცელებს: **„სააგენტოებმა რომ აღარ დამირეკონ და საქმე გავუადვილო, აქვე დავწერ — დავაარსე „დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი“, რომელმაც კონტრაქტი დადო „რუსთავი 2“-თან. გადაცემა იქნება ანალიტიკური, საგამოძიებო ელემენტებით და ერქმევა „განსხვავებული აქცენტები“. ჯერ პერიოდულობა ზუსტად არ ვიცით. თვეში ერთხელ ან ორჯერ — კვირა დღეს. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამდენი ხნის განმავლობაში მწერდა და მგულშემატკივრობდა“.**

„პირველი“

„ქურდულს სჭირდება!“ ანუ ნაციონალებისა და „კანონიერი ქურდების“ პოლიტიკური გარიგება

რა ფაქტებით ხსნიან პატიმრები შინაგან საქმეთა მინისტრის სკანდალურ განცხადებებს და ვინ გადაიხადა 150 ათასი დოლარი სტამბოლის სასტუმროში სისხლიანი გარჩევის „სკაიპით“ ყურებაში

გიორგი იაშვილი

ბოლო დროს საქართველოში კრიმინოგენული ვითარების გაუარესებაზე ოპოზიცია თითქმის ყოველდღიურად ატარებს ბრიფინგს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ სტატისტიკას აქვეყნებს და აცხადებს, რომ საზოგადოებას ამგვარი დასკვნის გაკეთების ილუზია მხოლოდ იმის გამო ექმნება, რომ ნაციონალური ხელისუფლება ცხრა წლის განმავლობაში მალავდა და აყალბებდა რეალურ მონაცემებს, დღეს კი ყველა ფაქტი საჯაროა და დანაშაულის გახსნის კუთხითაც პროგრესი აშკარაა. კრიმინალური ფაქტებით პოლიტიკური ლავირება, როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობის კოზირია.

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კრიმინალური ფაქტები ყოველდღიურად ხმაურდება და, თუ დანაშაულის სპეციფიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ განსაკუთრებით გახშირდა ყაჩაღობის ფაქტები, თანაც იმდენად თავზეხელაღებული, იმდენად მოუმზადებელი და სპონტანური, რომ გარკვეული კითხვები ჩნდება. „საქართველოს ბანკის“ ოფისებზე პერმანენტულ ყაჩაღურ თავდასხმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გასულ კვირას მოდულის შენობის მოპირდაპირე მხარეს, 22 წლის ახალგაზრდამ აფთიაქი დააყაჩაღა — რბილად რომ ვთქვათ, ეს იმ უწყების შეურაცხყოფის მცდელობა იყო, რომლის მოპირდაპირედაც ის აფთიაქი მდებარეობდა. მართალია, სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილი მალევე დაიჭირეს, მაგრამ ამ შემთხვევის გამო, პრემიერ-მინისტრს ძალიან მძაფრი რეაქცია ჰქონია და თავისი მეგობარი ალექსანდრე ჭიკაიძეც გვარიანად დაუტუქსავს. სწორედ ამის შემდეგ ალაპარაკდა ჭიკაიძე და საგაზეთო ინტერვიუმაც არ დააყოვნა. მან მინიშნებით თქვა ის, რაც რეალობასთან ძალიან ახლოსაა, თუმცა მთავარი არ უთქვამს — თავზეხელაღებული ყაჩაღობა კარგად მოფიქრებული გეგმის ნაწილია.

სოზარ სუბართან დიდი ბოდიშის მოხდით ვიტყვით, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში მობილური ტელეფონები ისევ არის და პატიმრებთან მუდმივი კავშირიც არ გახლავთ პრობლემა. სწორედ მათი მეშვეობით შევიტყვეთ, რომ საპატიმროებში ე.წ. მალიავები მიდის და მათი გამგზავნები „კანონიერი ქურდები“ არიან. ქურდები ახალგაზრდა პატიმრებს სთხოვენ, ძველი დიდების დასაბრუნებლად აუცილებელია კრიმინალის გახშირება, რათა ხელისუფლება იძულებული გახდეს, ვითარების დალაგება ისევ ქურდებს სთხოვოს. ამ „სამსახურის“ სანაცვლოდ კი საქართველოში დაბრუნება მოითხოვონ.

ყველაზე მეტად ხელისუფლებას გასულ ზაფხულს, ტურისტულ სეზონზე, გაუჭირდა. „ვერსიის“ ინფორმაციით, მაშინ საქართველოში საბერძნეთიდან და იტალიიდან სამი კანონიერი ქურდი ჩამოვიდა. მათ ერთი კვირა დაჰყვეს თბილისში და საინტერესო შეხვედრები გამართეს. შედეგად კრიმინალმა მომენტალურად იკლო. სწორედ ამ ინფორმაციამ გაჟონა ახლა და ნაციონალური მოძრაობის წევრები, რომლებიც, კრიმინალთან გამოცხადებული ომის მიუხედავად, ქურდებთან საქმიან ურთიერთობას არასოდეს ერიდებოდნენ, ამოქმედდნენ.

უკრაინაში მაიდნის აქციების მხარდასაჭერად ჩასული ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ქართველ „კანონიერ ქურდებსა“ და კრიმინალურ ავტორიტეტებს შეხვდნენ. რადგან ქურდები სამშობლოში ვერ ბრუნდებიან, შუამავლის როლი ავტორიტეტებმა იკისრეს და კვირაში ერთხელ რამდენიმე ადამიანი საქართველოში ჩამოდის, შეხვედრებს მართავს და უკან მიფრინავს. სწორედ მათი დავალებაა, საქართველოში კრიმინალი გახშირდეს.

უნდა გახშირდეს, კონკრეტულად, ყაჩაღობის ფაქტები, რადგან ქურდობა ძალიან არ ყვირის, იარაღით სადმე შევარდნა კი უკვე რეზონანსულია. ნაციონალური მოძრაობის წევრებს ამით სერიოზული უკმაყოფილების გამოწვევა სურთ და აკი ისმის კიდეც უკმაყოფილო მოსახლეობის განცხადებები, ძველი დრო ბრუნდებაო. ბოლო კვირის განმავლობაში, რუსთავში, 25 ავტომობილი გაძარცვეს და აკუმულატორისა და მაგნიტოფონის გარეშე დატოვეს. რეალურად, ერთიცა და მეორეც ძალიან იაფი ღირს და მისი გასაღება პრობლემაა, მაგრამ შეგრძნება, რომ ავტომობილს მშვიდად ვეღარ დატოვებ, მინიმუმ დისკომფორტს იწვევს. რუსთავში ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება. აქეთ გაფიცულ მძღოლთა პრობლემა, იქით კრიმინალი და წინასაარჩევნოდ ქვემო ქართლის რეგიონში არსებული ქართველებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქის დაკარგვის სერიოზული პრობლემა დგას.

იგივე ითქმის სამცხე-ჯავახეთზეც, სადაც ნაციონალურ უმცირესობას გიგი უგულავა შეხვდა და, მართალია, იქიდან გამოსულს საპროტესტო აქცია დაახვედრეს, სათქმელი მაინც ითქვა. უგულავა ნაცუმცირესობით დასახლებულ რაიონებში მუდმივად ჩადის. ეს ოფიციალურად არ შუქდება, მაგრამ მარნეულის მოსახლეობა ამბობს, რომ თბილისის ყოფილ მერს ქალაქში, მინიმუმ ორჯერ ხედავენ, იქით გარდაბნელები იმეორებენ იგივეს და ბოლნისსა და დმანისშიც დაგვიდასტურეს, რომ უგულავა მათი რაიონების ხშირი სტუმარიცაა.

როგორც ჩანს, ნაცუმცირესობასთან მუშაობა სწორედ გიგის ავალია მაშინ, როცა ზემოხსენებული თემა მთლიანად საკუთარ თავზე აიღო გივი თარგამაძემ.

საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე ორი კვირით ადრე სააკაშვილმა 150-ზე მეტი პატიმარი ე.წ. სპეცშეწყალებით გაუშვა და მათ შორის რამდენიმე ისეთი კრიმინალიც მოხვდა, რომელსაც 30 წელი ჰქონდა მისჯილი. ორი მათგანი უკრაინაში ცხოვრობს და გასულ კვირას ორივე თბილისში იმყოფებოდა. ერთ-ერთს, რომელიც ძალიან გახმაურებული საქმისთვის იხდიდა სასჯელს, საქართველოში დაჭერის შიშით დაბრუნება არ სურდა, მაგრამ მას სამდღიანი ხელშეუხებლობის გარანტია სწორედ თარგამაძემ მისცა და შეუსრულა კიდეც. როგორ და რა გზებით მოახერხა ვასილიჩმა ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მოახერხა და კრიმინალებმა თბილისსა და რუსთავში ძალიან საინტერესო შეხვედრები გამართეს.

სხვათა შორის, არც თურქულ და არც ქართულ მედიას არ გაუშუქებია ის ფაქტი, რომ ერთი თვის წინ, სტამბოლის ერთ-ერთ სასტუმროში, ორი ქართველი კრიმინალი დანით დაჩეხეს. ერთ-ერთი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი, ქუთაისის მკვიდრი, გადარჩა. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ისინი სკაიპით თბილისს ესაუბრებოდნენ და აქეთა მხარემ სისხლიან გარჩევას პირდაპირ ეთერში უყურა. ჩვენი ინფორმაციით, თავდამსხმელებს შორის ერთი ის პიროვნება იყო, რომელიც საქართველოში უკრაინიდან გასულ კვირას ჩამოვიდა და ქვეყანა უკვე დატოვა. საქმის სანაცვლოდ კი 150 ათასი დოლარი მიიღო მისგან, ვინც კომპიუტერით ამ სისხლიან გარჩევას უყურა.

ალექსანდრე ჭიკაიძემ, სავარაუდოდ, იცის რაც ხდება, თუმცა უცნობია, როგორი იქნება, ხელისუფლების სამოქმედო გეგმა. ისეა თუ ასე, გახშირებული ყაჩაღობის რიცხვი უფრო მოიმატებს და „მალიავებით“ შეგულიანებული ახალგაზრდა კრიმინალები, რომლებსაც ორ ჯადოსნურ სიტყვას — „ქურდულს სჭირდება“ ეუბნებიან, მოდულის წინ კი არა, საქმე საქმეზე თუ მიდგა, მოდულის შენობაშიც იყაჩაღებენ.

„მერის არჩევნებზე მეორე ტური დაინიშნება, სადაც მე და „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ვიქნებით“

დამოუკიდებელი დეპუტატი გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ მერის არჩევნებზე საკმაოდ სუსტი კანდიდატებია წარმოდგენილი: **„ყველა საკითხთან დაკავშირებით ცალ-ცალკე ძალიან კარგ და რეალისტურ პროგრამას ვამზადებთ, ეს იქნება ეკონომიკური, დასაქმების, სოციალური, ენერგეტიკული და ეკოლოგიური თვალსაზრისით. ეს ყოველივე დაყრდნობილი იქნება ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებაზე. მწვანეთა პარტია მზრუნველი პოლიტიკური ორგანიზაციაა, ყოველთვის ვცდილობთ საზოგადოება, კვებითი უსაფრთხოება და ბავშვების ჯანმრთელობა დავიცვათ. ჩვენი მიმართულებაც ეს იქნება. შევეცდებით, ისეთი ღონისძიება და პროგრამა წარვადგინოთ, თბილისისა და რეგიონების მოსახლეობის მოთხოვნები შევასრულოთ. ადამიანებს არ უნდა ეშინოდეთ იმის, თუ რას ჭამენ, სვამენ, ასევე იმის, რამდენი მოუვათ კომუნალური გადასახადი თვის ბოლოს და შეძლებენ თუ არა გადახდას. რაც შეეხება კანდიდატებს, მივიჩნევ, რომ საკმაოდ სუსტი კანდიდატებია დასახელებული. ჩვენი პარტიის გათვლით, იქნება მეორე ტური, სადაც მე და „ქართული ოცნების“ კანდიდატი ვიქნებით“.**

„პირველი“

ალექსანდრე ელისაშვილი: „პანორამა თბილისის“ უკან უზარმაზარი პოლიტიკური ძალა დგას“

არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის ჰამქრის“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე ელისაშვილმა Holiday inn-ში თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ იმ კითხვებზე, რომელიც „პანორამა თბილისის“ ირგვლივ არსებობს, ასევე სხვა პროექტებთან მიმართებაში, ინვესტორი არ უნდა იყოს მთავარი მოპასუხე:

„რაც შეეხება პროექტს, ამ საინვესტიციო ჯგუფის უკან უზარმაზარი პოლიტიკური ძალა დგას. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ კანდიდატს მოსწონს ეს პროექტი და არ ველოდი, ძველი ისტორია თუ განმეორდებოდა — გამოვიდოდა, მაგალითად, ვერა ქობალია და იტყოდა, რომ ესა და ეს გაკეთდება თბილისში და მორჩა, ის კეთდებოდა“.

ელისაშვილის ბრალდებებს ჟურნალისტებთან საუბარში გამოეხმაურა თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი, რომელმაც ყოველგვარი პოლიტიკური ინტერესი „პანორამა თბილისის“ პროექტის ირგვლივ გამორიცხა და აღნიშნა, რომ თავად ალეკო ელისაშვილის გამოსვლა ჰგავდა პოლიტიკურს:

„არანაირი პოლიტიკური ძალა ამ პროექტის უკან არ დგას. პროექტის განხილვა მიმდინარეობს საზოგადოებრივ ჭრილში და მერიის სამსახურებთან ერთად გავდივართ ყველა იმ ნორმას, რასაც კანონი გვავალდებულებს. არანაირი პოლიტიკური ზეწოლა და არც ქულების ჩაწერა არ მიმდინარეობს. პირიქით, პროექტმა მხურვალე დისკუსია გამოიწვია“.

რაც შეეხება კითხვას — მაშინ, როდესაც კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილი აკრიტიკებდა ძველ თბილისში განხორციელებულ ისეთ პროექტებს, როგორიც არის შუშის ხიდი, ამფითეატრი და ა.შ. რატომ გახდა ახლა „პანორამა თბილისის“ ტიპის პროექტი მისაღები, ბაჩიაშვილმა უპასუხა, რომ ჯერ კონკრეტული არქიტექტურა შეთავაზებული არ არის:

„ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ კონცეფცია, რომელიც შეიძლება დამუშავდეს და შეიცვალოს იმის მიხედვით, როგორც ქალაქის დაგეგმარება და საზოგადოება მოითხოვს“.

ბაჩიაშვილმა განმარტა, რომ თავად ბიძინა ივანიშვილს არანაირი ფინანსური დაინტერესება არ აქვს ამ პროექტთან მიმართებაში და პირიქით, ისაა ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი.

„ინტერპრესნიუსი“

22-23 აპრილს ვიდეოპაემანი უფასო იქნება

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ სოზარ სუბარის ინიციატივით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 22-23 აპრილს მოქალაქეები ვიდეოპაემნის სერვისით უფასოდ ისარგებლებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნულ დღეებში, თბილისის, ქუთაისის, თელავის, ახალციხის, ბათუმისა და გორის პრობაციის ოფისებში ვიდეოპაემანზე მისული მოქალაქეები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში (ქალთა №5, არასრულწლოვანთა №11 სპეციალური, ქსნის №15 და რუსთავის №17 დაწესებულებები) მყოფ ახლობლებს გადასახადის გადახდის გარეშე დაუკავშირდებიან.

მოქმედი კანონმდებლობით, ვიდეოპამნით სარგებლობა, მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს. სერვისის ხანგრძლიობა 15 წუთია. ვიდეოპაემნის სურვილის შემთხვევაში, მოქალაქეებმა პრობაციის ბიუროებში წინასწარ უნდა შეავსონ განაცხადი.

„ინტერპრესნიუსი“

ნატო-ს შტაბბინაში რუსეთის წარმომადგენლებისთვის შესვლა შეიზღუდა

ნატო-ს შტაბ-ბინაში რუსეთის მისიის წარმომადგენლებისთვის შეზღუდვები დაწესდა. გარდა ნატო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის, მისი მოადგილისა და კიდევ ორი პირისა, რომელიც მისიაში მუშაობს, რუსეთის მისიიდან შტაბ-ბინაში ვერავინ შევა, რაც დაკავშირებულია გადაწყვეტილებასთან რუსეთთან პრაქტიკული თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ. რუსული მედიის ცნობით, ამის შესახებ ნათქვამია ალიანსის კომუნიკეში.

როგორც ცნობილია, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ რუსეთთან პრაქტიკულ და სამხედრო თანამშრომლობას აჩერებენ, რაც უკრაინის მოვლენებს უკავშირდება.

კომუნიკეს თანახმად, მისიის სხვა წარმომადგენლებისთვის შტაბბინაში შესასვლელად იმოქმედებს ის წესები, რომლებიც მოქმედებს ჩვეულებრივი ვიზიტორებისთვის. ამგვარად, რუსეთის მისიის სხვა წარმომადგენლებმა წინასწარ უნდა განაცხადონ საკუთარი ვიზიტის შესახებ შტაბბინაში, დარეგისტრირდნენ და შენობაში თანმხლებ პირებთან ერთად გადაადგილდნენ.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE



ოპერის თეატრი **„ტრავიატას“** წარმოადგენს

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი მორიგ სპექტაკლს 7 აპრილს წარმოადგენს.

19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტოდ შესრულდება ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“. თეატრის გუნდსა და ორკესტრს მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო წარუძღვება. მთავარ პარტიებს შეასრულებენ — მარიკა მაჩიტიძე (ვიოლეტა ვალერი), ირაკლი მურჯიკნელი (ალფრედ ჟერმონი), სულხან გველესიანი (ჟორჟ ჟერმონი), ნატალია ვოლჩენკო (ფლორა ბერვუა), მანანა იორდანიშვილი (ანინა), თამაზ საგინაძე (გასტონი), ლევან მაკარიძე (ბარონი დიუფოლი), ტარიელ ჭიჭინაძე (მარკიზ დ’ობინი) და გოდერძი ჯანელიძე (ექიმი გრენვილი).

„მოვითხოვ, ან მე დამიჭირონ ცილისწამებისთვის, ან დამნაშავეები დაისაჯონ!“

ლევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროსთან უვადო საპროტესტო აქცია დაიწყო

ფრუსუდან შელია
557-100-768

ცნობილმა რეჟისორმა და სცენარისტმა, ლევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროს წინ უვადო საპროტესტო აქცია დაიწყო. მისი მტკიცებით, უწყებაში კონკურსები უსამართლოდ ტარდება და სახელმწიფო დაფინანსებაც წინასწარ განსაზღვრულ ადამიანებზე ნაწილდება. რეჟისორი კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრში არსებული ვითარებით დაინტერესებისკენ პრემიერ-მინისტრსაც მოუწოდებს, პროკურატურისგან კი, სახელმწიფო სუბსიდიის განიავების გამო, დამნაშავეების სათანადოდ დასჯას ითხოვს. ვის ლობირებს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და რა დარღვევები ფიქსირდება უწყებაში, „ვერსია“ ლევან ანჯაფარიძეს ესაუბრა.

— კულტურის სამინისტროში ხელოვანებს ან საერთოდ ვერ ამჩნევენ, ანდა შეურაცხყოფას აყენებენ და დასცინიან. როგორც მაჰათმა განდიმ თქვა — ეს არის ბრძოლის გზა გამარჯვებისკენ. ჩვენც სწორედ ამ გზას მივყვებით. კულტურის სამინისტრო და კინოცენტრი ათი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ გახმოვანებულ დარღვევებზე საერთოდ არ რეაგირებდა, დღეს კი, როცა მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცესის მთავარი სხდომა მოახლოვდა, სამინისტროს თანამშრომლები და საჯარო მოხელეები პრესკონფერენციებს ინტენსიურად ატარებენ, რაც სასამართლოზე ზეწოლის პირდაპირი მცდელობაა. მოგეხსენებათ, კინოცენტრში აუდიტის მიერ აღმოჩენილი დარღვევები სასამართლოში მტკიცებულებად უკვე დევს, ამიტომ ცდილობენ, წინა ხელისუფლების მიერ დანერგილი პრაქტიკა გამოიყენონ და მოსამართლეებს მიანიშნონ, კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არ გამოიტანოთო.

— კულტურის სამინისტროში დღემდე ამტკიცებენ, რომ თქვენ სცენარის დაფინანსებისთვის 750 ათას ლარს ითხოვთ და საპროტესტო აქციებიც სწორედ ამ მიზნით განაახლეთ.

— ამ ეტაპზე, სცენარის დაფინანსება ჩემთვის მეათეხარისხოვან საკითხად იქცა, რადგან ზედაპირზე უამრავი სიბინძურე ამოტივტივდა. ვინც ჩემ სცენარზე დღემდე აპელირებს, ამიხსნას, რატომ დააფინანსა კულტურის სამინისტრომ და კინოცენტრმა ინგლისურენოვანი ფილმი „ეპიკა“ უკონკურსოდ, მით უმეტეს, რომ მისთვის 2012 წლის 10 ოქტომბერს, ვანო მერაბიშვილმა პრემიერის თანამდებობიდან გადადგომამდე ათი დღით ადრე, 200 ათასი ლარი გამოყო. მოგვიანებით, კულტურის სამინისტრომ იგივე სცენარზე 800 ათასი ლარი გაწერა, საბოლოოდ კი, 700 ათასი ლარით დააფინანსა. ჩემმა კოლეგებმა კარგად იციან, ქართველი რეჟისორები 200 ათას ლარად ფილმებს ვიღებთ, კულტურის სამინისტრომ კი ეს თანხა მხოლოდ კოსტუმებისა და გადასაღები ობიექტების მოსაძებნად გამოყო. ამ პროექტს მანანა ბერიკაშვილი ლობირებდა. რაც მთავარია, კონკურსგარეშე დარჩენილ ფილმში ქართული არც სული და არც შინაარსი დევს. მასში არც ერთი მსახიობი და პროფესიონალი არ მონაწილეობს, მხოლოდ პროდიუსერის — ვლადიმერ კაჭარავას სახელი ფიგურირებს, რაც უკვე საეჭვოა. ან რატომ უნდა გადაეხადა საქართველოს 700 ათასი ლარი ინგლისურ ფილმში, ინგლისელები ჩვენზე ღარიბები არიან?! ამიტომაც ვითხოვთ, კულტურის სამინისტრომ აგვიხსნას, რატომ დაინტერესდა ასე ძალიან „ეპიკის“ გადაღებით, რა იდეა დევს მასში და ვინაა მისი ავტორი ბენ ჰოპკინსი.

— კულტურის სამინისტრომ ეს მასალები სასამართლოშიც არ წარადგინა?

— არა, კულტურის სამინისტრო არ ასაჯაროებს დოკუმენტს, სადაც მითითებულია, ვინ გასცა 700 ათასი ლარი ინგლისურენოვან ფილმზე. თანაც „ეპიკის“ გარდა, კინოცენტრში უამრავი სხვა დარღვევაც ფიქსირდება. არავინ აკონტროლებს, როგორ ფინანსდება სცენარები კოლოსალური თანხებით. გაჩნდა ფავორიტი სტუდიები, რომლებსაც ნანა ჯანელიძე ლობირებს. ჩვენმა ჯგუფმა კინომაფიის მიერ შემუშავებული სქემა გაშიფრა: თითო სტუდიას ორ-ორი პროექტის შეტანის უფლება მისცეს, შესაბამისად, მათი რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. ხელოვანებს ვერ გავამტყუნებ, დღეს ფილმის გადაღება ყველას უნდა, მაგრამ ჯანელიძის ფავორიტ სტუდიებში სახელმწიფო ფული უკანონოდ ტრიალებს.

— რატომ ხართ წინააღმდეგი, კინოცენტრმა რამდენიმე პროექტი ერთდროულად დააფინანსოს, ნანა ჯანელიძე ამტკიცებს, რომ მსგავსი დამოკიდებულებით ახალგაზრდა რეჟისორებს ებრძვით.

— მაგ სიმართლით იაროს ნანა ჯანელიძემ! მაინტერესებს, კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრში რომელიმე თანამშრომელმა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში დარიგებული ყალბი დიპლომების სკანდალზე ხმა ამოიღო?! თუ ამის შესახებ არაფერი სმენიათ, ჩვენ გავაგებინებთ! საბედნიეროდ, მარტო არ ვარ, ჩემ გვერდით აღნიშნული უნივერსიტეტის მასწავლებლები, რეჟისორები, მხატვრები, დრამატურგები, კინოპროფესიონალები და, რაც მთავარია, ის ხალხი დგას, ვისაც სამართალი სწყურია. ასე რომ, ახალგაზრდობას სწორედ ქალბატონი ნანა ებრძვის, ჩვენ კი ვცდილობთ, გზა გავუკაფოთ და ეს უზნეობა დავასრულოთ. ნანა ჯანელიძეს იმის თავხედობაც ეყო, აუდიტის სამსახურის დასკვნაზე ეთქვა — ეს მხოლოდ რეკომენდაციებია და სურვილის შემთხვევაში გავითვალისწინებო. ამაზე ნანა ჯანელიძის მოადგილემ, უვიცმა იურისტმა ნანა კუხალაშვილმა ისაუბრა. ორივე უწყებაში პროექტების დასაფინანსებლად შემდეგი სცენარი შემუშავდა: ჟიურის წევრებად რამდენიმე პროფესიონალს იწვევენ, რომლებმაც, დარწმუნებული ვარ, არ იციან, რა თამაშში მონაწილეობენ. დანარჩენ წევრებს კი საახლობლოდან არჩევენ. მათ წინასწარ იციან, კონკურსში რომელმა პროექტმა გაიმარჯვოს, ამიტომაცაა, ეს პარაზიტები არასასურველ რეჟისორებს გულუხვად უწერენ სამიანებს, ორიანებს, ერთიანებსა და ხშირად, ნულებსაც, უნიჭო პროექტებს კი სახელმწიფო ფულით სოლიდურად აფინანსებენ. არის შემთხვევები, როცა კონკურსში ერთი სუბიექტი იმარჯვებს, დაფინანსებას კი ისეთ ორგანიზაციას ურიცხავენ, კონკურსის შემდეგ რომ ჩამოყალიბდა. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. არის შემთხვევები, როცა კონკურსში თვითონ ჟიურის წევრი იმარჯვებს.

— შეგიძლიათ, დაასახელოთ ის კონკრეტული პირები, თქვენ მიერ გაშიფრულ სქემებში რომ ფიგურირებენ?

— მაგალითად, ლევან კოღუაშვილი, თითოეულის დასახელება შემიძლია, პრობლემა არ არის, ეს მასალები სასამართლოშია. კომისიის წევრები თავმჯდომარის პროექტებს უმაღლეს ქულებს უწერენ და აფინანსებენ. კერძოდ, ბუბა ხოტივარი თავისივე პროექტს აფასებს და აფინანსებს. სხვათა შორის, ეს დარღვევა გაგვეპარა, მაგრამ კულტურის სამინისტრომ თვენახევარში პროექტი მაინც დააფინანსა, რაც კრიმინალია! საეჭვოა, კონკურსის წარმოების თვითშეფასების ფორმულირებაც, სადაც თითქმის ერთი-ერთზე ემთხვევა სცენარისტისა და რეჟისორის ხედვები. არადა, არ არსებობს ორი რეჟისორი სხვადასხვა სცენარს ერთნაირად ხედავდეს, წარმოუდგენელია! ეს სქემა ერთი ადამიანის დაწერილს ჰგავს, მაგრამ მას ჯერჯერობით არ დავასახელებ, რადგან გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს. კინოცენტრი დღემდე უარს ამბობს დედნების წარმოდგენაზე. ამაზე მეტი რაღა გითხრათ?

მინდა, პრემიერ-მინისტრს მივმართო: ბატონო ირაკლი, გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრში არსებული ვითარება. ვიცი, ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, რომელსაც აუცილებლად ერთად დავძლევთ, მაგრამ ჩვენი თხოვნა ქართულ კულტურასა და ხელოვნებას ეხება. ბრენდი „ქართული ფილმი“ უნდა აღორძინდეს, ვირთხები კი სახელმწიფო სუბსიდიებს ფლანგავენ და ანიავებენ. ამ ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს და კულტურის სამინისტროსა და კინოცენტრში პროკურატურა უნდა შევიდეს! მოვითხოვ, ან მე დამიჭირონ ცილისწამებისთვის, ან დამნაშავეები სათანადოდ დაისაჯონ.

— კულტურის სამინისტროში საკადრო ცვლილებები განხორციელდა, ამბობენ, შვებულებაში გასული გურამ ოდიშარია პოსტზე აღარ დაბრუნდებაო და „ფავორიტების“ პოლიტიკა მაინც გრძელდება?

— ზოგიერთები გურამ ოდიშარიას დაბრუნდებით იმუქრებიან! მანანა ბერიკაშვილი ღიად ამბობს, დიახაც, ნანა ჯანელიძეს ვლობირებ და ეს მომავალშიც გაგრძელდებაო. მე კი გპირდებით, რომ ნანა ჯანელიძის უკანონობაზე პასუხისგება მის ლობისტებსაც მოუწევთ. კულტურის სამინისტროსთან კარვები გავშალეთ. ადრე მარტო ვშიმშილობდი, ახლა კი ბევრნი ვართ. ჩემთან ერთად არიან რეჟისორები, მხატვრები და დრამატურგები. შიმშილობას არ ვაპირებ, რადგან მე კი არა, მანანა ბერიკაშვილმა უნდა იშიმშილოს. კულტურის სამინისტროს წინ მანამდე ვისხდებით, ვიდრე სიმართლე არ გაიმარჯვებს.

ზვიად ძიძიგური:

„მშვიდობიანი აქციის უფლება ყველას აქვს, მაგრამ კანონის დარღვევას არავის ვაპატიებთ, ვინ უნდა გაიმეოროს მაიდანი ან რა მოთხოვნით?“

ეროსუდან შელია
557-100-768

ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მოსალოდნელი შეთქმულების შესახებ ინფორმაცია სულ უფრო აქტუალური ხდება — ვრცელდება ხმები, რომ ირაკლი ალასანიას, გიორგი მარგველაშვილსა და გია ბოკერიას შორის ფარული მოლაპარაკებები მიმდინარეობს, რათა არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში შიდაგადატრიალება მომზადდეს, თავდაცვის მინისტრი ოპოზიციის ლიდერი გახდეს, პრემიერ-მინისტრი კი ხელისუფლებას ჩამოაცილონ. არსებობს თუ არა მოვლენების ამ სცენარით განვითარების საფუძველი და როგორ ემზადება კოალიცია არჩევნებისთვის, „ვერსია“ კონსერვატიული პარტიის ლიდერს ზვიად ძიძიგურს ესაუბრა.

— ხელისუფლებაში მოსალოდნელ შეთქმულებებზე გავრცელებულ ინფორმაციას არსებულ პოლიტიკურ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. სხვადასხვა პოლიტიკურმა სუბიექტებმა საკმაოდ მყარი, მოტივირებული კოალიცია შევქმენით და კარგად ვიცით, არსებული კონკრეტული ამოცანები როგორ განვახორციელოთ. ასე რომ, ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადაბარგებას კოალიციის არც ერთი სუბიექტი არ გეგმავს და, ვფიქრობ, ეს სიმყარე მთავრობაზეც გადადის. შესაბამისად, მისი მარტივ მამრავლებად დანაწევრებაც შეუძლებელია.

— კოალიციის წევრების ოპოზიციაში გადასვლაზე არც არავინ საუბრობს. პირიქით, გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ალასანია, გიგა ბოკერიასა და გიორგი მარგველაშვილთან ერთად, ირაკლი ღარიბაშვილის პოსტიდან გადაყენების გეგმას ამუშავებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ბიძინა ივანიშვილის კრიტიკის ობიექტი დიდი ხნის წინ გახდა, რატომ გამორიცხავთ, რომ იგი სწორედ ამ სცენარით იმოქმედებს?

— კოალიციაში არსებულ ვითარებაზე დეტალური ინფორმაცია მაქვს, ისიც ვიცი, რა ხდება მთავრობაში, ამიტომ, გარწმუნებთ, მსგავსი საუბარი მხოლოდ ჭორაობის ნაწილია.

— ასე გვარწმუნებდით მაშინაც, როცა მედიაში ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის არსებულ დაპირისპირებაზე ინფორმაცია გაჩნდა, სანამ ბიძინა ივანიშვილმა არ დაადასტურა.

— ბატონმა ბიძინამ გიორგი მარგველაშვილი აბსოლუტურად სამართლიანად გააკრიტიკა. გიორგის პოზიცია იყო, საპრეზიდენტო რეზიდენციაში არ უნდა შევიდეთო, თუმცა საბოლოოდ, თავად გახდა შენობაში გადასვლის ინიციატორი. არ ვიცი, პოზიცია რატომ შეიცვალა, ამაზე თავად ისაუბროს, მაგრამ ამის გამო კოალიციის დაშლაზე საუბარი არარეალურია. რა თქმა უნდა, არასოდეს ვიტყვი, რომ კოალიცია ყველა საკითხთან დაკავშირებით ერთ აზრზეა. ასე ნამდვილად არ არის, რადგან სხვადასხვა ბიოგრაფიისა და მიმართულების მქონე პარტიები ვართ. „კონსერვატორები“, „ფორუმი“ და „მრეწველები“ კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური ძალები ვართ, „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ — ლიბერალური.

— რეგიონებში კოალიციის შტაბის ხელმძღვანელები ღიად საუბრობენ, რომ არჩევნებამდე კანდიდატების შერჩევისას „ქართულ ოცნებაში“ უთანხმოება გაჩნდა.

— დღეს ხელისუფლება ერთიანი კოალიციის ხელშია. თანაც სხვადასხვა აზრზე მყოფი პარტიების გაერთიანება ხელისუფლებაში მხოლოდ საქართველოში არ ჰყავთ, მსგავსი მაგალითი მსოფლიოში მრავლადაა. საარჩევნო სიის დაკომპლექტებაზე კი, საკმაოდ ინტენსიურად ვმუშაობთ და ყველანი ღირსეულ ადამიანებს ვეძებთ. დიახ, იყო მოლოდინი, სიების დაკომპლექტება კოალიციაში უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. თვითმმართველობის არჩევნებში 2000-ზე მეტი კანდიდატია ასარჩევი, ასე რომ, როგორმე შევთანხმდებით. კანდიდატების გაყოფის პრობლემა არ არსებობს.

— სანამ კოალიცია სიაზე შეთანხმებას ცდილობს, შინაგან საქმეთა მინისტრი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან „თბილისური მაიდნის“ ორგანიზების მცდელობას აანონსებს. რამდენად მზადაა ხელისუფლება შესაძლო პოლიტიკური კრიზისის გასაკონტროლებლად?

— სანამ ამაზე შინაგან საქმეთა მინისტრი ისაუბრებდა, ნაციონალური მოძრაობის მიერ ორგანიზებული აქციების შესახებ ინფორმაცია მეც მქონდა. მითხრეს ისიც, რომ მათ საბურავები მოიმარაგეს. მშვიდობიანი აქციის ორგანიზების უფლება ყველას აქვს, მაგრამ კანონის დარღვევას არავის ვაპატიებთ. რაც შეეხება აქციებს, ვინ უნდა გაიმეოროს მეიდანი ან რა მოთხოვნით? შესაძლოა, ნაციონალური მოძრაობა უკმაყოფილოა, რომ პროკურატურაში კითხვებს უსვამენ, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო და გამოძიებას ვერსად გავექცევით. ნამდვილად არ ვარ მომხრე, სასამართლომ ადამიანები მასიურად გაასამართლოს, ეს ქვეყანას არ წაადგება, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია. როგორც ვიცი, უკრაინაში კონსულტანტებად თბილისიდან ჩადიოდნენ, მიხეილ სააკაშვილიც იყო ამ პროცესში ჩართული, თუმცა სწორედ მსგავსი რჩევების შედეგია ის, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა რღვევით დასრულდა. თბილისში იგივეს ვერავინ გაიმეორებს. ამ მიმართულებით ქვეყანაში პოლიტიკური სიმყარეა.

— თუ ასეა, პარლამენტში პოლიტიკურმა დუღილმა პიკს რატომ მიაღწია, თითქმის ყველა სხდომა დაპირისპირებით მთავრდება?

— როგორც წესი, ქვეყანაში არსებულ არასტაბილურ ვითარებაზე ქუჩებში მასობრივი გამოსვლები მიანიშნებს ხოლმე. პარლამენტი კი, სწორედ დეპუტატების მწვავე დაპირისპირების არენაა. ბუნებრივია, როცა ოპონენტები ჩვენი მთავრობის მეთაურს მუდმივად პიროვნულ შეურაცხყოფას აყენებენ, ადეკვატური რეაქცია გვექნება! სოციალური აქციები კი, ქვეყანაში დემოკრატიის არსებობაზე მიუთითებს. სააკაშვილის მმართველობისას მასწავლებლები, მძღოლები თუ მაღაროელები ქუჩაში გამოსვლას გაბედავდნენ? ასე რომ, ამ მხრივაც საგანგაშო არაფერია.

— ბოლო დროს გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევები კი, „ქართული ოცნების“ რეიტინგის შემცირებაზე მიანიშნებს...

— საპრეზიდენტო არჩევნების წინაც ოპოზიცია ამბობდა, რომ საზოგადოებაში რეიტინგი არ გვაქვს, თუმცა კოალიციის კანდიდატმა ხმათა 60%-ზე მეტი მიიღო. ყველაზე კარგი სოციოლოგიური გამოკითხვა სწორედ არჩევნებია, ამიტომ 15 ივნისს მშვიდად დაველოდოთ. თვითმმართველობის არჩევნებზე გაირკვევა, ვის რა პოლიტიკური წონა აქვს. როცა საუბრობენ, ნაციონალური მოძრაობის წევრების დაკავება არჩევნებს უკავშირდებაო, არჩევნების შიშით პროკურატურამ კითხვები არ უნდა დასვას? როცა უშიშროების საბჭოდან 18 მილიონია გამქრალი, გიგა ბოკერიამ შეკითხვებს რომ უპასუხოს, ეს პოლიტიკური დევნაა?! თუ როცა გიგი უგულავას მერიიდან საეჭვოდ დახარჯულ 50 მილიონზე განმარტებებს ვთხოვთ, ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება?! უამრავი საკითხია, მათ შორის, ზურაბ ჟვანიას, სანდრო გირგვლიანისა და ნავთლუღის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ახალგაზრდების საქმეში, რომელსაც პასუხები უნდა გაეცეს.

— კითხვები თქვენი მმართველობის პირობებში ჩადენილ დანაშაულებზეც ჩნდება — შალვა თათუხაშვილის საქმესა და ნუგზარ წიკლაურის თავდასხმის ფაქტზე „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს?

— ნუგზარ წიკლაურის ცემის საკითხი სასწრაფოდ გამოსაძიებელია. ამაზე მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია გვაქვს — დაუშვებელია ქვეყანაში პარლამენტის წევრებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ასეთი მაგალითები წინა ხელისუფლების პირობებში ვალერი გელაშვილის, კობა დავითაშვილისა და სხვა დეპუტატების სახით უკვე ვიხილეთ, ამიტომ გამოძიებას ყურადღებით ვაკვირდებით. მესმის, საზოგადოებას შედეგი სწრაფად სჭირდება, მაგრამ გამოძიებას თავის ვადა აქვს. ნაციონალური მოძრაობა ამ საქმისთვის პოლიტიკური დატვირთვის მინიჭებას ღიად ცდილობს, მაგრამ, ჩემი აზრით, პროკურატურამ ამომწურავი პასუხები გასცა. გამოძიებას დრო უნდა მივცეთ შალვა თათუხაშვილის საქმეზეც, თუმცა ამ საქმის სანდრო გირგვლიანთან დაკავშირება აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია. ვიმეორებ, თუ პროკურატურას ვინმესთან კითხვები უჩნდება, მათ შორის, როლანდ ახალაიასა და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებთან, ეს ნორმალური პროცესია, ნაციონალური მოძრაობა კი, ალიაქოთისა და აჟიოტაჟის ატეხვას ყველა მეთოდის გამოყენებით ცდილობს. რაც მთავარია, საზოგადოების დიდი ნაწილი აბსოლუტურად სამართლიანად ითხოვს სააკაშვილის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას.

ერეკლე კოდუაზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა გამოცხადდა

ინტერპოლის ვებგვერდზე სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) ყოფილი უფროსის, ერეკლე კოდუას შესახებ ინფორმაცია უკვე განთავსებულია. ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ერეკლე კოდუას ბრალი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თაღლითობაში ედება. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, კოდუამ უნგრეთს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა, აღნიშნულ ინფორმაციას მისი ადვოკატი ოთარ კახიძე არც უარყოფს და არც ადასტურებს.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ერეკლე კოდუას, აღკვეთის ღონისძიების სახით, დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა. საქმე ეხება კოდუას შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსად მუშაობის პერიოდს. გამოძიების ცნობით, მან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, გარკვეულ პირებს ძვირადღირებული ავტომანქანები მოსთხოვა. მთავარმა პროკურატურამ ერეკლე კოდუას ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითობის ჩადენის ფაქტზე წაუყენა.

„პირველი“

რუსეთის მომხრე აქტივისტებმა „დონეცკის დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ გამოაცხადეს

უკრაინული მედიის ცნობით, **„სეპარატისტების „სახალხო საბჭომ“ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო – ახლადშექმნილი „რესპუბლიკა“ რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს“.** აქტივისტებმა, რომლებიც ამ დრომდე დონეცკის საოლქო ადმინისტრაციის შენობაში რჩებიან, „სახალხო საბჭოს” რიგგარეშე სხდომა გამართეს, რომელზეც ერთ-ერთმა გამომსვლელმა დონეცკის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ განაცხადა, რასაც შეკრებილები ოვაციებით და შეძახილებით — „რუსეთი, რუსეთი“, „პუტინო, დაგვეხმარე“ — შეხვდნენ. მომიტინგეები ბარიკადების გამაგრებას აგრძელებენ და სცენიდან ტრანსპორტით დახმარებას ითხოვენ, ბარიკადების სიახლოვეს საწვავით სავსე კასრები დგას, რომლებსაც აქტივისტების თქმით, საჭიროების შემთხვევაში დაწვავენ.

„პირველი“

ვერსიანიუსი

დავით უსუფაშვილი: „რუსეთის შემდეგი სამიზნე, შესაძლოა, საქართველო გახდეს“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერს ანუშკა ვან მილტნბურგსა და სენატის სპიკერს, ანკი ბროკერს-ნოლის შეხვდა.

მხარეებმა რეგიონში არსებული ვითარება განიხილეს, განსაკუთრებული ყურადღება კი ბოლო დროს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს დაეთმო.

როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, **„უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, რუსეთის შემდეგი სამიზნე, შესაძლოა, საქართველო გახდეს, ამიტომაც საჭიროა, ევროკავშირმა რუსეთთან მიმართებაში უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადადგას“.** საუბარი ასევე შეეხო ნატო-ს მომავალ სამიტს, სადაც ქართულმა მხარემ აღინიშნა, **„ჩვენს ქვეყანაში დიდია მოლოდინი საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებისა“.** ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტის ორივე სპიკერმა გამოთქვა მზადყოფნა, მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლო საშუალებებით დაეხმარონ საქართველოს შექმნილი რთული ვითარების დაძლევაში.

„ინტერპრესნიუსი“

ვინ და რატომ აფერხებს ხუდონჰესის პროექტის განხორციელებას საქართველოში?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ექსპერტთა ოთხეულის — ლევან კალანდაძის, გიორგი აბაშიშვილის, ირაკლი ლექვინაძისა და ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით, მსხვილი საინვესტიციო პროექტების, ხუდონჰესისა და აჭარისწყლის განხორციელება ხელოვნურად ფერხდება, რაც სახიფათო ტენდენციაა. შეფერხების მთავარი მიზეზი მთავრობის არაკოორდინირებული და არაეფექტური მუშაობის შედეგია. ექსპერტთა განცხადებით, ამ მასშტაბების საინვესტიციო პროექტების შესრულება მხოლოდ ერთი სამინისტროს, ამ შემთხვევაში, ენერგეტიკის სამინისტროს ეფექტურ მუშაობას კი არა, ზოგადად, ამ პროცესში კანონმდებლობით ჩართული ყველა უწყების კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვს. სამწუხაროდ, მთავრობის სუსტი ქმედება საფრთხეს შეუქმნის მესამე დიდი პროექტის, ნენსკრაჰესის განხორციელებასაც.

ლევან კალანდაძე: „რუსეთის ახალი ენერგეტიკული დოქტრინის გაგრძელებაა ის კამპანია, რაც საქართველოში ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მიმდინარეობს“

„პირველ პრესკლუბში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, ექსპერტთა ოთხეულის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით, ყველა სამართლებრივი თუ ფორმალური პროცედურა დასრულდა. დიდი ხანია მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) საბოლოო დოკუმენტი. თუმცა ეს პროცესი რომ საბოლოოდ დასრულდეს და მშენებლობის ნებართვაც გაიცეს, მიწის აზომვითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, რომელიც დროებით შეჩერდა:

„დღევანდელი მდგომარეობით, ხუდონჰესის პროექტით გათვალისწინებული მიწის აზომვითი და რეგისტრაციის სამუშაოები 1 415 ჰექტარზე ჩატარდა, მაგრამ დარჩენილია ტერიტორიის 10%, ანუ 155 ჰექტარი. საპროექტო ტერიტორიის ამ მონაკვეთზე, აზომვითი სამუშაოები ვერ ხორციელდება, რადგან სამთავრობო სტრუქტურები შესაბამისი ტექნიკური პროცედურების ჩატარებას ვერ უზრუნველყოფენ. არადა, ქვეყანაში ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, 1 200 000 აშშ დოლარის მოცულობის საინვესტიციო პროექტის განხორციელებას საფრთხე ექმნება“, — განაცხადა ლევან კალანდაძემ.

მისი თქმით, ხუდონჰესის პროექტის გასაგრძელებლად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა (სსიპ) „სამშენებლო და ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტომ“, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა უნდა გასცეს იმ პირობით, რომ ინვესტორი კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯია“, ჰესის ოპერირების დაწყებამდე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს. ლევან კალანდაძე ამბობს, რომ ხუდონჰესი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, წყალსაცავიანი ჰიდროსადგურის პირველი პროექტია, რომელსაც თავისი სპეციფიკა გააჩნია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სწორედ ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ.

ხუდონჰესსა და აჭარისწყალთან დაკავშირებით, სამთავრობო სტრუქტურების პასიურობა რეალურ საფრთხეს უქმნის მესამე მსხვილ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტს — ნენსკრაჰესს. მართალია, ნენსკრაჰესის განხორციელება მოსახლეობის გადასახლებას არ გამოიწვევს, მაგრამ გარემოსდამცველებს მაინც წინააღმდეგობრივი მოსაზრებები აქვთ. ნენსკრაჰესის განხორციელებისას, გაცილებით ხელუხლებელი, უზარმაზარი ტყის მასივები გაიჩეხება, ვიდრე ხუდონჰესის შემთხვევაში. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, ცალკეულმა სტრუქტურებმა უფრო ეფექტურად იმუშაონ. ლევან კალანდაძე ამბობს რომ ცალკეულ ჩინოვნიკებს ეშინიათ, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღონ, რის გამოც შედეგი ზიანდება.

„ვხედავ, რომ გარკვეული ძალები მართულნი არიან და ამ ძალების აქტიურობა არაკეთილმოსურნე ქვეყნების ინტერესებს უკავშირდება. გასული წლის ბოლოს, რუსეთმა ახალი ენერგეტიკული დოქტრინა გამოაქვეყნა, რომლის მთავარი ქვაკუთხედი ის არის, რომ განვითარებადი ქვეყნები რუსულ ეკონომიკასა და რუსეთის ენერგეტიკაზე დამოკიდებულები გახდნენ. ყველა მცდელობა, რომელიც საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას ზრდის, წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის ახალ ენერგეტიკულ დოქტრინასთან, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე მსხვილი ენერგეტიკული პროექტების განხორციელება, რუსეთის ინტერესებში არ შედის. რაც მეტ პიდროელექტროსადგურს ავაშენებთ, მით ნაკლებად დაგვჭირდება თბოელექტროსადგურების გამოყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას შევიძენთ რუსეთისგან და მეორე მხრივ, ნაკლებ გაზს შემოვიტანთ აზერბაიჯანიდან, რადგან თბოსადგურები მხოლოდ გაზზე მუშაობს. ადამიანთა გარკვეული კატეგორია საქართველოში ცალსახად, მიზანმიმართულად იბრძვის ჰესების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც არაფერს ამბობს თბოსადგურების მშენებლობაზე. მეჩვენება, რომ რუსეთის ახალი ენერგეტიკული დოქტრინის გაგრძელებაა ის კამპანია, რაც საქართველოში ჰიდრორესურსების ათვისებისა და ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მიმდინარეობს“, — აღნიშნა ლევან კალანდაძემ.

გიორგი აბაშიშვილის მოსაზრებით, ინვესტიციები ენერგეტიკაში და მსხვილი ენერგეტიკული პროექტები უბრალო ახირება და კაპრიზი არ არის. მისი თქმით, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი, ხვედრითი წილი — 22%, სწორედ ენერგეტიკაზე მოდის. აქედან გამომდინარე, ინვესტორებიც სწორედ ამ სფეროთი, განსაკუთრებით კი ჰიდროენერგეტიკით არიან დაინტერესებულები. ამას მოწმობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის — „იბიარდის“, IFC-ს, „მსოფლიო ბანკისა“ და სხვა, საერთაშორისო საფინანსო-საინვესტიციო ჯგუფების მზადყოფნა, რათა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ენერგეტიკის სფეროში დაგეგმილ ინვესტიციებში.

თვენახევრის წინ, როდესაც მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სოზარ სუბარი ჩავიდა და ადგილობრივებს შეხვდა, ვითარება განიმუხტა. სუბარის ჩასვლას მესტიაში შედეგი მოჰყვა, მოსახლეობამ აქციები შეწყვიტა, მაგრამ მოგვიანებით იგივე პროცესი უკვე აჭარაში, სოფელ ღურტაში გაგრძელდა. აჭარლები უმსხვილეს საერთაშორისო კომპანია „ტატა ჯგუფს“ დაუპირისპირდნენ და 700 000 000-დოლარიანი აჭარისწყლის ჰესის მშენებლობა გააპროტესტეს. „ვერსიის“ კითხვას, რა ქმედითი ან ეფექტური ნაბიჯი უნდა გადადგას ხელისუფლებამ, რათა ხაიშელებისა და ღურტას მოსახლეობის სოციალური პრობლემები მოგვარდეს, ლევან კალანდაძემ უპასუხა:

„იმ დროს, როდესაც დაძაბულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, მნიშვნელოვანი იყო პიროვნული ფაქტორის გამოყენება და ბატონი სოზარის მესტიაში ჩასვლა იმის საფუძველი გახდა, რომ გარკვეულ ფორმატში, ხელისუფლებამ ამ ადამიანებთან დიალოგი დაიწყო. ამ ხალხის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მათ არავინ ხვდება, რა თქმა უნდა, ინვესტორი ელაპარაკება, მაგრამ ხალხს ხელისუფლებასთან დიალოგი სურს. მოსახლეობისთვის ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტორი, რასაც მათ ინვესტორი პირდება, რაც ძალიან ლოგიკური და ბუნებრივი მოთხოვნაა. ერთია, რას ამბობს და პირდება მოსახლეობას ინვესტორი, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ამ ყველაფრის გარანტორი ხელისუფლებაა. ამ ტიპის დიალოგი დაიწყო, მაგრამ სწრაფადვე დასრულდა და იმიტომაც გაგრძელდა ეს პროცესი სოფელ ღურტაში“.

ქუთაისის პარლამენტის მომავალთან დაკავშირებით მმართველ კოალიციაში გაურკვევლობაა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საპარლამენტო უმცირესობის წევრის, გიორგი თევდორაძის განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ქუთაისის, როგორც საპარლამენტო ქალაქის სტატუსი დაკნინდეს. მისივე თქმით, იგი გაოცდა, როდესაც ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის, შოთა მურღულიას განცხადება მოისმინა.

როგორც თევდორაძე აცხადებს, შოთა მურღულიამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ქუთაისის საპარლამენტო ქალაქის იდეამ ვერ გაამართლა და მას ახალი ფუნქცია უნდა მოუძებნონ.

თავის მხრივ, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი თევდორაძეს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. როგორც მურღულიამ განაცხადა, ნაციონალურმა მოძრაობამ მის წინააღმდეგ მორიგი ცრუ ინფორმაცია გაავრცელა: **„პარლამენტთან დაკავშირებით აცხადებენ, თითქოს ჩემი პოზიცია უარყოფითია, მაგრამ ეს სიმართლე არ არის“.**

მისივე განცხადებით, როცა 350 მილიონი დაიხარჯა შენობაზე, მეტი უნდა გაკეთდეს, რათა მეტი სარგებელი მიიღოს ქალაქმა: **„ჩემი, როგორც ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლისა და ქუთაისის რიგითი მოქალაქის პოზიციაა, პარლამენტი ქუთაისში დარჩეს“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვახტანგ ხმალაძე ადასტურებს, რომ **„ჯერჯერობით, ვერავის მოიფიქრა, ქუთაისის პარლამენტის შენობა სამომავლოდ რა მიზნით იქნეს გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, თვითონ კოალიციაში ერთგვარი გაურკვევლობაა. ამ ეტაპზე, მეტი არაფრის თქმა შემიძლია. ისე, ეს შენობა დღემდე ჩვენი არ არის, იმ რაღაც შპს-ს კუთვნილებაა, რომელიც პარლამენტს აშენებდა. რამდენადაც ვიცი, მის ჩაბარებაზე უარს აცხადებენ და ამ შენობაში პარლამენტარებიც უკანონოდ ვიმყოფებით“.**

კითხვაზე, მიღებულია თუ არა საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილება საპარლამენტო მუშაობის სრულად თბილისში გაგრძელებაზე, ვახტანგ ხმალაძე განმარტავს, რომ კანონის დაურღვევლად, პარლამენტის თბილისში სრულ გადმოსვლას კონსტიტუციაში ცვლილება სჭირდება, სხვაგვარად ეს ვერ მოხდება: **„მაგრამ კომიტეტის სხდომები, შეხვედრები ქვეყნის ძირითადი კანონის დაურღვევლადაც შეიძლება თბილისში გაიმართოს“.** რაც შეეხება ამ თემაზე ქუთაისის მერის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, ხმალაძე ამასთან დაკავშირებით, ხელისუფლების შიგნით წინააღმდეგობას ვერ ხედავს და არც ის უკვირს, შოთა მურღულია ასე რომ საუბრობს: **„ქუთაისელებს სურთ, პარლამენტი ამ ქალაქში იყოს, მაგრამ პარლამენტი მარტო ქუთაისს არ ეკუთვნის, ის საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა და ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც საქმისა და მთლიანად ქვეყნისთვის სჯობს და არა მხოლოდ ქუთაისისთვის“.**

„სითი პარკის“ მიერ ამოღებული თანხა უკან დაბრუნებასა და კანონდამრღვევთა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

დემოკრატიული მოძრაობის მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოგბაიძე თბილისის მერიის მიერ „სითი პარკისთვის“ გაფორმებული ხელშეკრულების კაბალურ პირობებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ესაა ნაციონალური რეჟიმის ერთ-ერთი ფინანსური აფერა, რომელიც წლების განმავლობაში მოქალაქეების პირადი ქონების ხელყოფას და დედაქალაქში გაუსაძლისი პირობების შექმნას უკანონოდ და უსამართლოდ ეწევა.



„2007 წლის 9 ნოემბერს თბილისის მერის უგულავას მიერ ხელმოწერილი იქნა 23.21.754 დადგენილება, რომლის მიხედვითაც დედაქალაქის პარკირების სფეროში გამარჯვებულად „ამაგონ ლიმიტედის“ და „შოჰარ პარკინგ სერვის ლიმიტედის“ კონსორციუმები გამოვლინდა. რეალურად, ეს ფირმები ინტერნეტსივრცეშიც კი არ იძებნება და ამ სფეროში მათი გამოცდილების შესახებ არავინ არაფერი იცის. ნაცმოძრაობა და მისი მერი წლების განმავლობაში კერძო ბიზნესში ჩაურევლობის საბაბით „სითი პარკთან“ დადებულ ხელშეკრულებას ასაიდუმლოებდა. დემოკრატიულმა მოძრაობამ ლეგიტიმურად მოიძია ხელშეკრულება და ჩვენი ეჭვები გამართლდა — ეს დოკუმენტი გიგი უგულავასა და მთელი რიგი მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულებები აღმოჩნდა“, — აცხადებს ოგბაიძე და დასძენს, რომ ხელშეკრულება ისეა შედგენილი, შეუძლებელია „სითი პარკისთვის“ გადაცემული მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და იქიდან მიღებული მოგების დათვლა; ხელშეკრულების შესაბამისად შემოღებული უნდა ყოფილიყო არათუ ყოველდღიური, არამედ საათობრივი გადასახადიც: **„დღეს თუ „სი-თი პარკისგან“ მოითხოვთ ერთდღიან საშვს, პასუხად მიიღებთ ერთკვირიანი (!) საშვის შეთავაზებას“.**

მისივე განცხადებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო კეთილმოწყობილი თანამედროვე მრავალსართულიანი ავტოსადგომების აშენებაც: **„კომპანია დაარსების დღიდან დაკავებულია ავტომობილების ქურდობით საკუთარი საევაკუაციო ბრიგადების მიერ და 10-ლარიანი ჯარიმის გარდა, მოპარული ავტომობილის გამოხსნა 65 ლარი გვიჯდება საჯარიმო სადგომის ხარჯის სახით. ეს კიდევ დამატებითი 600%-იანი მოგებაა კომპანიისთვის. რაც ყველაზე მთავარია! საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად 125-ე მუხლით გათვალისწინებულ დარღვევებზე ოქმის შედგენის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ შსს ადმინისტრაციულ ორგანოებს, ხოლო უგულავას 11.02.2009 წლის №17 ბრძანებით საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენის უფლება მიენიჭა შპს „სითი პარკს!“** ამ ბრძანებით უგულავამ თავი დააყენა კანონზე მაღლა და დაკანონა შპს-სთვის საკუთარი თანამოქალაქეებისგან ხარკის აკრეფა. აღნიშნული ბრძანება ანტიკონსტიტუციურია, კორუფციისა და უფლებამოსილების აშკარა გადამეტების ნიშნისშემცველი და წარმოადგენს თბილისის ყოფილი მერის საბრალდებო დასკვნას.

როგორც მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, „სითი პარკის“ უკანონო ქმედებებზე რამდენიმე პასუხისმგებელი პირი უკვე დაბარებულია, ნაწილი დაკითხულია და მიმდინარეობს გამოძიება, შალვა ოგბაიძე კი „ვერსიასთან“ საუბარში პარკინგის სერვისთან დაკავშირებულ პრობლემებზე აცხადებს: **„ეს ხელშეკრულება ლამის სამხედრო საიდუმლოების გრიფით იყო დაცული და მასში წერია, რომ პარკინგის სერვისის განსახორციელებლად ტერიტორიები ზოგადი ჩამონათვალის მიხედვითაა გადაცემული. ძნელია აუდიტირება და აღრიცხვა, კონკრეტულად, რა ფართობი გადაეცა, იქ მხოლოდ ქუჩის სახელწოდება წერია. მიწა ჩვენი საერთო სიმდიდრეა, ამიტომ მუნიციპალური ქონების უგულისყუროდ განიავების ფაქტებთან გვაქვს საქმე. ასევე არ ჩანს, რომ ეს სადგომები, მოძრაობის ორგანიზაციის კუთხით, რომელიმე სამსახურთან შეთანხმებულია. ეს პუნქტი ხელშეკრულებაში ვერ ვიპოვე. ჩადებულია პუნქტი, სადაც წერია, რომ დედაქალაქში არ უნდა დარჩეს განუსაზღვრელი სტატუსის მქონე სადგომები, რაც ხელში ფუნჯის დაჭერასა და წყვეტილი ხაზების შემოვლებას ნიშნავს. საუბარია „სითი პარკის“ უკანონო ქმედებების მთელ თაიგულზე, რაც მოქალაქეებისგან ამოღებული თანხის უკან დაბრუნებასა და უკანონობის შემოქმედთა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. აღარაფერს ვამბობ პარკირების გადასახადის ერთი ხელის მოსმით გაორმაგებაზე. რეალურად, ჩვენ არა პარკირებას, არამედ მონოპოლიური კორუფციის ნიშნების შემცველ გარიგებას ვებრძვით. ავტოსადგომები მოწესრიგებული უნდა იყოს, მაგრამ იქ შესვლა-გასვლა ტერორთან, შიშთან, მანქანის მოტაცებასა და დაზიანებასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.**

დღევანდელი მერია მომსახურების არედან მთლიანად გასულია, საკრებულო კი პოლიტიკური ორთაბრძოლების უხეირო არენად იქცა. მალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება და საკრებულოს ახალმა შემადგენლობამ, უპირველესად, ეს საკითხი უნდა მოაგვაროს, სხვა უმნიშვნელოვანეს ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად“.

ვერსიანიუსი

ანტიკორუფციულმა სააგენტომ „საქართველოს რკინიგზის“ მოლარე-კონტროლიორები დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თანხის მითვისებაში ამხილეს და დააკავეს სააქციო საზოგადოება ,,საქართველოს რკინიგზის“ მოლარე-კონტროლიორები – დავით კ, ირმა ჭ. და შალვა ი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა თბილისი-ბორჯომი-თბილისის მიმართულების საგარეუბნო მატარებელში დამონტაჟებული სამგზავრო ბილეთების ავტომატური აპარატებიდან, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სხვადასხვა დროს მიითვისეს სააქციო საზოგადოება ,,საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი 71 290 ლარი. გამოძიება დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

დაუბეგრავი მინიმუმის მისაღებად დეკლარაცია უკვე 300 ათასმა მოქალაქემ შეავსო

შემოსავლების სამსახური

შემოსავლების სამსახური დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების მიმდინარეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში აცხადებს: „მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე გააქტიურდა დეკლარირების სპეციალური ფორმა, რომლის შევსებითაც დაიწყო დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცედურა. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული დეკლარაცია შეავსო დაახლოებით, 300 ათასმა ფიზიკურმა პირმა, რომელთაგანაც ნაწილს უკვე დაუბრუნდა შესაბამისი თანხა, ხოლო დანარჩენს დაუბრუნდება კანონით დადგენილ ვადებში. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას **„მთავრობის მიერ შეცდომით გადარიცხული თანხის ფიზიკური პირებისგან უკან მოთხოვნის“ შესახებ, არც ერთი ასეთი ფაქტი არ მომხდარა და არც მომავალში მოხდება“.**

„პირველი“

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი

TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

შესრულდება ბრამსის სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 13 აპრილს 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტს გამართავს.

შესრულდება იოჰანეს ბრამსის მესამე სიმფონია და პირველი საფორტეპიანო კონცერტი. სოლისტის ამპლუაში წარსდგება გერმანიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი პიანისტი ანი ტაკიძე. კონცერტს წარუძღვება დირიჟორი რევაზ ტაკიძე.

ანი ტაკიძემ დაამთავრა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა (პედაგოგ ლიანა ფირალიშვილის კლასი), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და ასპირანტურა (პროფესორ ნანა ხუბუტიას კლასი).

2002-04 წლებშიანი ტაკიძე იყო DAAD-ის სტიპენდიანტი და სწავლობდა მიუნჰენის უმაღლეს სკოლაში ფორტეპიანოს კლასში პროფესორ ფრანც მესინგერის ხელმძღვანელობით, კამერული ანსამბლის კლასში კი ჰელმუტ დოიჩთან. 2005 წელს გახდა მოსკოვის სვიატოსლავ რიხტერის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი.

ანი ტაკიძე ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას როგორც სოლისტი და ანსამბლისტი, მონაწილეობს ისეთ ფესტივალებში როგორებიცაა: ოლეგ კაგანის სახელობის ფესტივალი კრეუტში (გერმანია, 2010), გიდონ კრემერის კამერული მუსიკის ფესტივალი ლოკენჰაუზში (ავსტრია 2011), „შემოდგომის თბილისი“ (2008), თანამედროვე მუსიკის ფესტივალი თბილისში (2008-2010).

ანი ტაკიძემ 2012 წელს ჩაატარა მასტერ-კლასები კონსერვატორიაში DAAD-ის პროგრამით და ჯაკარტის (ინდონეზია) კონსერვატორიაში. ანი ტაკიძე თანამშრომლობს ისეთ სიმფონიურ ორკესტრებთან როგორებიცაა ნიურნბერგის, მინჰენის, ტრიერის, მოსკოვის, დუბროვნიკის, თბილისის სინფონიეტა; დირიჟორებთან: ჰიროიუკი ივაკი, მარკ მასტი, ერი კლასი, იური კოჩნევი, რობერტ კანეტი, ნორმან ვიჯაჯა, ვახტანგ კახიძე, რევაზ ტაკიძე, დავით კინწურაშვილი.

საინტერესო პროგრამა და მუსიკოსთა მაღალი საშემსრულებლო დონე ამ კონცერტის წარმატების საწინდარია. ეწვიეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზს და ისიამოვნეთ.

გორის გვირაბი ერთი კვირით დაიკეტება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 88-ე კმ-ზე მდებარე გორის საავტომობილო გვირაბში, (თბილისი-ხაშურის მიმართულება) ელექტრომექანიკური სისტემების სრულყოფისა და ტესტირების სამუშაოებთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 08 აპრილის დილის 09:00 საათიდან 16 აპრილის 17:00 საათამდე, ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება.

თბილისი-ხაშურის მიმართულებაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მარცხენა გვირაბის გავლით განხორციელდება, ხოლო ხაშური-თბილისის მიმართულებით მოძრავი ავტოტრანსპორტის ნაკადი გვირაბების შემოსავლელ გზაზე გადაერთვება. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან 2012 წლის 17 დეკემბერს (N20/9-1714612) შეთანხმებული ავტოტრანსპორტის ნაკადის დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის შესაბამისად განხორციელდება.

„ნიუსპრესი“

53-ე საჯარო სკოლაში ორი დღეა სასწავლო პროცესი შეწყვეტილია!

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

მეორე დღეა თბილისის 53-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეწყვეტილია. მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები განათლების სამინისტროს გენინსპექციის დასკვნას აპროტესტებენ, რომლის საფუძველზეც მინისტრმა სკოლის დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა. 7 აპრილს სკოლის ეზოში დაწყებულმა აქციამ 8 აპრილს განათლების სამინისტროს წინ გადაინაცვლა თამარ სანიკიძის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ სასწავლო პროცესი არ განახლდება, სანამ მინისტრი მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს.



„ქალაქ თბილისის 53-ე სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული და საცეკვაო წრეები. სკოლამ, დამქირავებელს გაუზარდა გადასახადი, რამაც გამოიწვია წრეების მოსწავლეებისთვის სწავლის საფასურის გაზრდა... სად მიდის წრეების ფუნქციონირებიდან შემოსული გადასახადი...“ ეს გახლავთ ამონარიდი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სახელზე შესული იმ განცხადებიდან, რომლის საფუძველზეც, ერთი თვის წინ, 53-ე საჯარო სკოლაში გენერალური ინსპექცია შევიდა. პედაგოგების თქმით, თავდაუზოგავი ჩხრეკისა და ძიების შემდეგ, სკოლასა და მეიჯარეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირდა უმნიშვნელო დარღვევები. დირექტორს — ლალი რამინაშვილს სამინისტრო 64 თეთრს ედავება, რასაც კოლექტივის 104 წევრიდან 98 აპროტესტებს. განათლების სამინისტრო წერილის ავტორს არ ასახელებს, თუმცა პედაგოგები „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებენ, რომ განცხადება ვინმე თორნიკე ლომიძეს ეკუთვნის, რომელსაც, თურმე, 53-ს საჯარო სკოლასთან არანაირი კავშირი არ აქვს და გაუგებარია, რატომ აღელვებს ასე ძალიან მისი ბედი: **„ეს ლომიძე არც მშობელია, არც მასწავლებელი, საერთოდ არავინაა. ქალბატონი ლალი სასაცილო დასკვნის საფუძველზე მოხსნეს, უბრალოდ, ვიღაცას ამ ადგილის დაკავება მოუნდა. ასე იქცეოდა შაშკინი, გამოგზავნიდა აუდიტს, თითიდან გამოწოვდნენ პრობლემას და ხსნიდნენ დირექტორებს. ჩვენ, არც ერთი მასწავლებელი და მოსწავლე, არ გავჩერდებით... ეს ადამიანი ნაციონალების დროს დაინიშნა თანამდებობაზე, თუმცა პოლიტიკური შეხედულებები ჩვენთვის თავს არასოდეს მოუხვევია. ახალი მთავრობა რომ მოვიდა, იმედი მოგვეცა, გვეგონა, რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ ყველაფერი ისევ ისე მიდის. სულელები არიან, ადგილობრივი არჩევნების წინ ჩვენი სახით რამდენი ხმა დაკარგეს, შვილებს გეფიცებით, ხმის მისაცემად აღარასოდეს წავალ. ჩვენი სკოლა აპოლიტიკურია, არასოდეს არაფერში ჩავრეულვართ, მაგრამ იძულებულს გვხდიან, ქუჩაში გამოვიდეთ. როცა მართლა დარღვევები იყო, მაშინ კაციშვილი არ მოსულა და არ უკითხავს, რა ხდებაო, გამოცდები კარსაა მომდგარი და ახლა ეს არეულობა შეიძლებოდა? მაგათ არც პედაგოგი, არც მოსწავლე და საერთოდ არაფერი აინტერესებთ. დღეს, მშობლებიც ტიროდნენ, ძლივს ვეღირსეთ დალაგებულ სკოლასო, სკოლაში გაკვეთილებზე მე-11-12-კლასელებიც დადიან, რაც წლების განმავლობაში წარმოუდგენელი იყო“.**

7 აპრილს 53-ე საჯარო სკოლასთან განათლების სამინისტროს არც ერთი წარმომადგენელი არ გამოჩენილა, რამაც მონაწილეების გულისწყრომა გამოიწვია, პედაგოგი **ელენე რატიანი** აცხადებს, **„ვინ გვაგდებს რამედ? მგონი, ჩვენი მინისტრი აზრზეც არ არის, რა წერია იმ დასკვნაში... როგორ, ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლა წყვეტს სასწავლო პროცესს, რაზეც წინასწარ წერილობით გაფრთხილებს და შენ ყურსაც არ იბერტყავ? ჩვენს მხრებზე წლებმა გადაიარა და ეს სკოლა აქამდე მოვიყვანეთ. ბოლო 2 წლის განმავლობაში მეხუთე დირექტორი შეიცვალეთ და როგორც იქნა, 53-ე სკოლას ძველი, საამაყო სახელი დაუბრუნდა. მთელმა კოლექტივმა ვიცოდით, რომ ქალბატონი ლალის ხელმძღვანელობის დროს მივიღებდით კვალიფიციურ, გონივრულ რჩევას და ჩვენი აზრიც გათვალისწინებული იქნებოდა, ღირსების ელემენტები დაგვიბრუნდა და უცებ ეს ყველაფერი თავზე დაგვამხეს... დიდი ბოდიში, მაგრამ ღირსებაშელახულ მასწავლებელს გაკვეთილზე აღარაფერი ესაქმება, ბავშვებს რა ვასწავლოთ, ვისაც როდის მოუნდება, თავში მაშინ წამოგვარტყამს და ეს ნორმალურიაო, ვუთხრათ?“**

7 აპრილს, საღამოს, 53-ე საჯარო სკოლის დირექტორის საკითხზე კომენტარი გააკეთა განათლების სამინისტრომ და განაცხადა, რომ ლალი რამინაშვილი გაათავისუფლა გენინსპექციის დასკვნის საფუძველზე, ამ პოსტზე კი ღირსეულ კანდიდატს შეარჩევს. თუმცა, აქციის მონაწილეები უკანდახევას არ აპირებენ, მათ 8 აპრილს პლაკატებითა და ლოზუნგებით განათლების სამინისტროსთან გადაინაცვლეს თამარ სანიკიძესთან შეხვედრის მოთხოვნით. მოსწავლეებმა გენინსპექციის დავალიანება — 64 თეთრი სახელდახელოდ შეაგროვეს, მინისტრს გაუგზავნეს და განაცხადეს, რომ, თუ მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. ადგილის გამოყოფის მოთხოვნით კი თბილისის მერიას უკვე მიმართეს. დღის ბოლოს პედაგოგთა ჯგუფი განათლების მინისტრს შეხვდა, თუმცა მან გადაწყვეტილება არ შეცვალა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უკვე დანიშნა. აქციები გრძელდება.

ელგუჯა ჩხაიძე: „იქნებ ვინმემ მიპასუხოს, რა ხდება ამ ქვეყანაში, რისთვის ვემზადებით?“

რუსუდან შელია
557-100-768

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ რაღაც ორი თვე რჩება და რეგიონებში პოლიტიკური ვითარება საკმაოდ დაიძაბა. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ სახელისუფლებო კოალიციის წევრები და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. თითქმის ყველა რეგიონში ისმის კითხვები — რატომ ნიშნავენ მაღალ თანამდებობებზე ნაციონალური მოძრაობის პერიოდში უკანონო დაკავებების ავტორებს, რომელი პარტია აკომპლექტებს საარჩევნო სიას ყოფილი ნაციონალების მონაწილეობით და როდის აღდგება სამართლიანობა?!

„ვერსიას“ „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ლანჩხუთის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე დაუკავშირდა და ის ადამიანები დაასახელა, ვინც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ნარკოტიკი და იარაღი ჩაუდეს, დღეს კი ძალოვან სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ელგუჯა ჩხაიძე 2012 წლის 13 იანვარს იხსენებს, როცა სახლში ხუთ სტუმართან ერთად ქეიფობდა და კალანდობაზე პოლიციის უფროსის მოადგილე ეწვია.

— პოლიციის უფროსის მოადგილემ, დავით იმნაძემ დამირეკა და მითხრა, შენი ნახვა მინდა რაღაც ძველ საქმესთან დაკავშირებითო. მეუღლეს სკამიც კი მოვატანინე, სტუმარი უნდა მოვიდეს-მეთქი. მანქანა რომ გაჩერდა, პოლიციელები არც კი გადმოსულან, მითხრეს, ტყეში, ფერმაზე უნდა წამოგვყვეო. სახლში შემოვედი, „ბოტები“ ჩავიცვი და წავყევი. ორი მანქანა უკან მოგვყვებოდა, ორი იქ შემოგვიერთდა. ახლა ამბობენ, ჩხაიძე ტყეში დაგვხვდაო. არადა, სახლში ხუთი მოწმე მყავს ჩემი ოჯახის წევრების გარდა და ასე უსინდისოდ იტყუებიან. ამ პროცესს დავით იმნაძე კამერით იღებდა. მოწმეები ხომ არ გინდაო? არა-მეთქი, ვუთხარი. კარავში შევიდნენ და პირდაპირ იმ ადგილას მივიდნენ, საიდანაც შემდეგ ავტომატი ამოიღეს — ჭერიდან ჩამოიღეს თეთრ ტომარაში ჩადებული ავტომატი. გარეთ გამოვედი. მოიცაო, დამიძახეს. რა მოვიცადო, ხომ ვიცი, თქვენი ჩადებულია-მეთქი. ეგებ ძველი დადებულია და აღარ გახსოვსო. ძველი დადებული კი არა, ტომარაზე, რომელიც შემდეგ დაწვეს, 2011 წელი ეწერა. პოლიციაში მიმიყვანეს და მეუბნებოდნენ, აღიარე, რომ შენი იარაღია და ჯარიმას — ხუთას ლარს გადაიხდიო. არ იყო ჩემი და რატომ ვაღიარებდი?! მკითხეს, არჩევნების მოგებას თუ აპირებო და არც დამიმალავს, ვუთხარი, აქტიურად მივიღებ-მეთქი მონაწილეობას. ჩემი არყოფნისას სახლში კიდევ ერთხელ მისულან. პოლიციის მაშინდელი უფროსი გიგიაძე საპირფარეშოში შესულა, რომელსაც პატარა სარკმელი აქვს, ქვემოთ კი ქათმის ბუდეა. გიგიაძემ ეს არ იცოდა და იარაღის მჭიდი სარკმლიდან რომ გადააგდო, კვერცხი ახალი განატეხი იყო. ეს ყველაფერი დეტალურად იმიტომ მოვყევი, რომ კონკრეტულად ვასახელებ ადამიანებს, რომლებიც ამ ყველაფერში მონაწილეობდნენ: ლაშა ჩხაიძე, ლაშა ქირია, შმაგი ურატაძე, დავით იმნაძე, ალექსანდრე ბირთველიშვილი. ადამიანები, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებამდე ჩემ სახლში, კერძოდ, სხვენში, იარაღი და ნარკოტიკები ჩამიდეს, დღეს ისევ სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობენ; მეტიც ზოგიერთი მათგანი დააწინაურეს კიდეც. დიდი ხანია ვითმენ — მეგონა, ჩემი ჩარევის გარეშე მოიკვლევდნენ ნაძირალა პოლიციელების მრავალწლიან საქმიანობას, მაგრამ...

— **ყველა ძალოვან სტრუქტურებში დაწინაურდა?**

— ლანჩხუთის პოლიციის ყოფილი უფროსის მოადგილე ლაშა ჩხაიძე, ნარკოტიკების ცნობილი ჩამდები, ქობულეთის პოლიციაში გადავიდა, საიდანაც გურიის სამხარეო პოლიციის უფროს-ინსპექტორ გამომძიებლად დანიშნეს. სამხარეო პოლიციის უფროსს დავურეკე და მის მიერ ჩადენილი უზნეობის შესახებ ინფორმაცია დეტალურად მივაწოდე, ვუთხარი ნაძირალა და ჯალათია-მეთქი, მან კი მიპასუხა — ეს რომ სიმართლე იყოს, ახლა ციხეში იქნებოდაო. ლაშა ქირია, ჩემ სახლში „კალაშნიკოვისა“ და იარაღის მჭიდების ქათმის ბუდეში ჩადების ორგანიზატორიც ქობულეთის პოლიციაშია. შმაგი ურატაძე, ცრუ მოწმე და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებზე ინფორმაციის შემგროვებელიც, ლანჩხუთის პოლიციაში მუშაობს. დავით იმნაძე — მოძალადე, რომელიც დაშინებითა და ზეწოლით აღიარებით ჩვენებას მთხოვდა, დეტექტივების უფროსია. გურიის პოლიციის სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ბირთველიშვილი დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, რუსთავის რომელიღაც კოლონიის უფროსია. პირადად ხელებზე მოჭერით ბორკილები დამადო, შემდეგ კი მოადგილე ლაშა ჩიკვილაძესთან ერთად, წამაქცია და ავტომატის მჭიდზე ანაბეჭდები დამადებინა. ასე რომ, თუ ეს ავაზაკები კიდევ გააგრძელებენ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობას, ვერ ვირწმუნებ, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება. ოთხი წელია, ამ უნამუსოების გამო ჩემი ოჯახი ციხესა და სასამართლოში დადის. იქნებ ვინმემ მიპასუხოს, რა ხდება ამ ქვეყანაში, ისევ მოძალადეებს რატომ ნიშნავენ თანამდებობებზე, რისთვის ვემზადებით?

— **ფიქრობთ, ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობის გზას აგრძელებს?**

— როგორც ჩანს, როცა დასჭირდებათ, ძალადობისთვის გამოიყენებენ, აბა, ეს ხალხი რაში სჭირდებათ? თავის დროზე, ეს ინფორმაცია ელჩებსაც მივაწოდეთ, ორი დღის წინ, შსს-ს გენინსპექციასაც ვაცნობეთ და შედეგს ველოდები.

— **რამდენად აისახება ეს ვითარება ამომრჩევლის განწყობაზე, მათაც უჩნდებათ ხელისუფლების მიმართ პროტესტი?**

— წინასწარი მონაცემებით, საარჩევნო სიების 30% „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს. მემორანდუმი სოციალ-დემოკრატებთანაც გაფორმდა და სავარაუდოდ, ქვოტებს მათაც დაუთმობენ. კოალიციაში შემავალი პარტიების გადაწყვეტილებაში ვერ ჩავერევი, მათი არჩევანია, კანდიდატებად ვის დაასახელებენ, მაგრამ ზოგიერთის სიაში ჩასმა გაოცებას იწვევს. ზოგადად, მმართველ გუნდს გურიაში მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ ის მუხტი და განწყობა დაიკარგა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე არსებობდა. ბევრი უკმაყოფილო და იმედგაცრუებულია.

„ვერსია“ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა: „ვინაიდან თქვენ თვლით, რომ, როგორც საქართველოს მოქალაქის მიმართ, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან, განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო ან ბრალეული ქმედება, თქვენი უფლების აღსადგენად ან ჭეშმარიტების დასადგენად უნდა მიმართოთ შესაბამის ორგანოებს. ასევე უნდა წარმოადგინოთ შესაბამისი მტკიცებულება, რითაც დადასტურდება თქვენს განცხადებაში მოყვანილი გარემოებები, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ზეპირსიტყვიერი გარემოებების შესაბამისი ფაქტობრივი მტკიცებულებით დასაბუთებას. რაც შეეხება ლაშარელა ჩხაიძეს, იგი დღემდე აგრძელებს შს ორგანოებში მუშაობას უბნის ინსპექტორის პოზიციაზე. ჩხაიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოდან თანამდებობრივად გადაადგილდა შსს გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოში უბნის ინსპექტორის პოზიციაზე და აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამდებობრივად არ დაწინაურებულა“.

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

ნატო-ს მომავალი გენერალური მდივნის პოლიტიკური ბეგრაუნდი

რატომ ჩაამტვრია ამერიკის საელჩოს ფანჯრები, არის თუ არა პუტინის მეგობარი და რა კავშირი აქვს ტერორისტ ანდერს ბრეივიკთან იენს სტოლტენბერგს

2014 წლის პირველი ოქტომბრიდან ნატო-ს გენერალური მდივანი ნორვეგიის ექსპრემიერი იენს სტოლტენბერგი იქნება, რომელიც რასმუსენის მემკვიდრედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭომ უკვე დაასახელა. ამბობენ, სტოლტენბერგი კემერონის, ოლანდის, ობამას, მერკერის ფავორიტია და მის კანდიდატურას ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა მხარი ამიტომაც დაუჭირეს, თუმცა არის კიდევ ერთი მიზეზი — პოლიტოლოგების ვარაუდით, 55 წლის ნორვეგიელი ეკონომისტის, პუტინთან დაახლოებული სტოლტენბერგის კანდიდატურა ნატო-ში მას შემდეგ განიხილეს, რაც რასმუსენმა თქვა, უკრაინის მოვლენების შემდეგ ნატო რუსეთს სხვაგვარად უნდა ელაპარაკოსო. საინტერესოა, როგორ ლაპარაკს აპირებს 1 ოქტომბრის შემდეგ ალიანსი რუსეთთან და ეს იქონიებს თუ არა გავლენას ნატო-ში საქართველოს ინტეგრირების საკითხზე? პუტინთან კარგი ურთიერთობების მიუხედავად, ნატო-ს მომავალი გენმდივანი აცხადებს, რომ რუსული აგრესიის პარალელურად, ალიანსი უნდა გაძლიერდეს.

„ნორვეგიელი კენედების“ წარმომადგენელი

იენს სტოლტენბერგის 1959 წლის 16 მარტს, ოსლოში დაიბადა. მისი წინაპრები ნორვეგიაში მე-17 საუკუნეში გადავიდნენ შლეზვიგ-გოლდშტინიდან, რომელიც იმხანად, დანიის საზღვრებში შედიოდა. იენს სტოლტენბერგის ძარღვებში არისტოკრატიული სისხლი ჩქეფს. მისი შორეული წინაპრები ოფიცრები, ბიუროკრატები, სახელმწიფო მოხელეები, ელიტის წარმომადგენლები იყვნენ. მშობლებმა კი, ნორვეგიის პოლიტიკურ ელიტაში დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი: მამა, ლეიბორისტი ტურვალდ სტოლტენბერგი სხვადასხვა დროს ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო, თავდაცვის მინისტრიც და პრემიერიც; დედაც მთავრობაში მუშაობდა, დეიდა კი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრზე, იოჰან იორგენ ჰოლსტომზე იყო გათხოვილი, ამიტომ მედიაში სტოლტენბერგებს „ნორვეგიელ კენედებს“ უწოდებდნენ.

ამ ფონზე, რა გასაკვირია, რომ 11 წლის იენსი უკვე იყო გატაცებული პოლიტიკით და სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენას განიხილავდა დასთან, რომელიც 13 წლის ასაკში უკვე იყო ჩართული მემარცხენე ახალგაზრდულ ორგანიზაციაში „წითელი ახალგაზრდობა“. მოგვიანებით, არასრულწლოვანი და-ძმა აქციებშიც მონაწილეობდა და ისეთ მნიშვნელოვან საკითხს აპროტესტებდა, როგორიც იყო, მაგალითად ვიეტნამის ომი. ერთ-ერთი ასეთი აქციის დროს, რომელიც ნორვეგიის დედაქალაქში აშშ-ს საელჩოს წინ გაიმართა, ახალგაზრდა იენსმა შენობას ქვებიც დაუშინა და რამდენიმე ფანჯარაც ჩამტვრია. იმ დღეს დაპატიმრებას შემთხვევით გადაურჩა, მის რამდენიმე თანამოაზრეს კი სამართალდამცავებთან პრობლემები შეექმნა.

საშუალო განათლება ოსლოს პრესტიჟულ კათედრალურ სკოლაში მიიღო. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ კი, ოსლოს უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა და „სოციალური ეკონომისტის“ სპეციალობას დაეუფლა. თუმცა, 1979 წელს, კარიერა ჟურნალისტობით დაიწყო — გავლენიან გაზეთში Arbeiderbladet მუშაობდა, 2 წელიწადში კი, დიდ პოლიტიკაში მოსვლის სურვილის გამო ჟურნალისტობაზე საბოლოოდ თქვა უარი.

ტერორიზმთან მებრძოლი „ყველაზე მზრუნველი პრემიერი“

იენს სტოლტენბერგი 1981 წელს ლეიბორისტული პარტიის პრესმდივანი გახდა; 1985-1989 წლებში იგი პარტიის ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელია, 1992 წლიდან პარტიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას იკავებს, 1993 წელს უკვე სტორტინგის (ნორვეგიის პარლამენტი) დეპუტატი და სოციალური საკითხების კომიტეტის წევრია, 1993-1996 წლებში ენერგეტიკის მინისტრის პორტფელს ფლობს, 1996-1997 წლებში ფინანსთა მინისტრის სავარძელში მოკალათდა, 1997-2000 წლებში კვლავ პარლამენტშია... 2000 სტოლტენბერგისთვის კარიერული წინსვლის წელი იყო — იგი ნორვეგიის მთავრობას ჩაუდგა სათავეში, თუმცა მხოლოდ ერთი წლით — მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე, 2001 წლის 10 სექტემბერს, ნორვეგიის ლეიბორისტთა პარტიამ ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა თავის ისტორიაში. შიდაპარტიული კრიზისის პირობებში განაცხადა, რომ პარტიას სათავეში უნდა ჩასდგომოდა. **„მე ნორვეგიელი ტონი ბლერი ვარ“,** — ახალგაზრდა პოლიტიკოსისთვის ეს საკმაოდ ამბიციური განაცხადი იყო. 2002 წელს პარტიას სათავეში მართლაც ჩაუდგა, გააძლიერა და მომდევნო საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვებაც მოაპოვებინა — 2005 წლის 12 სექტემბერს, ნორვეგიის მშრომელთა პარტიამ, მმართველი კოალიციის ჩამოყალიბება შეძლო, ცენტრისტებსა და სოციალისტურ პარტიასთან ერთად. 2005 წლის 17 ოქტომბერს, იენს სტოლტენბერგი კვლავ პრემიერი გახდა. მისმა პარტიამ გამარჯვება 2009 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც მოახერხა და მთავრობის ხელმძღვანელად კვლავ სტოლტენბერგი დარჩა. 2009 წლის 20 ოქტომბერს მან ახალი მინისტრთა კაბინეტი წარადგინა, სადაც თვალშისაცემი მინისტრებს შორის გენდერული თანასწორობა იყო: 10 ქალი და 10 მამაკაცი. პრემიერის პოსტს 2013 წლის ოქტომბრამდე იკავებდა.

სამგზის პრემიერი დღემდე აქტიურადაა ჩართული პოლიტიკაში. მან მოახერხა, ლეიბორისტული პარტიის გაძლიერება და ამ ძალაში სოციალ-დემოკრატიული იდეების გამყარება.

მისი პრემიერობის დროს, 2011 წელს კუნძულ ოტოიაზე ტერორისტმა ბრეივიკმა საზაფხულო ბანაკში მყოფი 77 ადამიანი, მათ შორის საქართველოს ერთი მოქალაქე გამოასალმა სიცოცხლეს. მაშინ ითქვა, რომ ეს ტრაგედია პრემიერის კარიერის დასასრულის დასაწყისი გახდებოდა, მაგრამ პოლიტოლოგების პროგნოზი არ გამართლდა, პირიქით, იენსი პოპულარული გახდა და „ყველაზე მზრუნველ პრემიერადაც“ მონათლეს. ტელეარხებზე ტრიალებდა კადრები, სადაც ყვავილებით ხელში გამოსულ ათასობით ადამიანთა შორის, დაცვის გარეშე, პრემიერიც იდგა მეუღლესთან ერთად და ისევე დასტიროდა გარდაცვლილ ახალგაზრდებს, როგორც ყველა ნორვეგიელი. ნორვეგიაში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია სახელწოდებით „მადლობა იენს სტოლტენბერგს“, რომლის წევრების მტკიცებით, სტოლტენბერგი ისტორიაში შევა, როგორც პრემიერი, რომელიც ტერორისტმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ მან ეფექტური ბრძოლა გამოაცხადა ტერორიზმის წინააღმდეგ და საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა ხალხის მიმართ. იენს სტოლტენბერგის მზრუნველობა კი, ერთმა, ემოციურმა და პრინციპულმა ფრაზამ დაიტია: **„აფეთქებით და ტყვიებით ვერავინ გვაიძულებს, გავჩუმდეთ! ვერავინ ვერაფრით გვაიძულებს, აღარ ვიყოთ ნორვეგიელები!“**

ანდერს ფოგ რასმუსენის მემკვიდრე

ნატო-ს მოქმედ გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენს უფლებამოსილება 2014 წლის 30 სექტემბერს ეწურება და 1 ოქტომბრიდან ნორვეგიის ექსპრემიერი, 55 წლის იენს სტოლტენბერგი შეცვლის. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭომ 28 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, ორგანიზაციის მეცამეტე გენერალური მდივანი სწორედ ნორვეგიელი ყოფილიყო. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, იენს სტოლტენბერგმა მოკლე და მოკრძალებული კომენტარი გააკეთა: **„სასიამოვნოა ჩემი ამ კონტექსტში მოხსენიება“**. რასმუსენმა მემკვიდრეს სოციალური ქსელით უკვე მიულოცა: **„ვულოცავ იენს სტოლტენბერგს ჩემს მემკვიდრედ დანიშვნას. მას ვიცნობ ბევრი წელია, დარწმუნებული ვარ, ნატო-ს გაძლიერებისა და წარმატებისთვის ყველაფერს გააკეთებს. ვფიქრობ, იგი სწორად შერჩეული ფიგურაა“.**

იენს სტოლტენბერგის კანდიდატურას ნატო-ს საბჭოს სხდომაზე მხარი ალიანსის ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელმა დაუჭირა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ბრიტანეთის პრემიერის, დევიდ კემერონის, საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკერისა და ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ფავორიტია. ითქვა ისიც, თითქოს მისი კანდიდატურა მას შემდეგ შეარჩიეს, რაც რასმუსენმა თქვა, ყირიმის მოვლენების მერე, ნატო მოსკოვთან ურთიერთობებს გადახედავსო. ურთიერთობების გადახედვისთვის, ალბათ სწორედ იენსისნაირი პიროვნებაა საჭირო — ადამიანი, რომელიც რუსეთში, ნორვეგიის პრემიერის რანგში არაერთხელ ყოფილა, პუტინს კარგად იცნობს და მასთან საერთო ენის გამონახვაც არ უჭირს. ეს ფაქტი როგორ იმოქმედებს ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციაზე, დრო გვიჩვენებს. სოციალურ ქსელში უკვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ „პუტინის მეგობარი ნორვეგიელის“ ნატო-ს გენერალურ მდივნად დანიშვნა, საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს, თუმცა პოლიტოლოგთა უმრავლესობას მიაჩნია, იენს სტოლტენბერგის მთავარი პოლიტიკური ხიბლი სწორედ ისაა, პუტინთან „მეგობრობის“ მიუხედავად, ობიექტურობა შეინარჩუნოს და პირიქით, მოსკოვი წამოიყვანოს კომპრომისზე. დასტურად კი, იენსის კომენტარი მოჰყავთ, რომელიც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე გააკეთა: **„რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო ნატო უნდა გავაძლიეროთ. უკრაინის მოვლენებმა დაგვანახა, როგორი მნიშვნელოვანია ნატო-ს კავშირი და თანამედროვე უსაფრთხოების იდეა. ნატო-ს გაძლიერების აუცილებლობაში უფროდაუფრო რწმუნდები, როცა ხედავ, როგორ აგრესიულად ცვლის საზღვრებს რუსეთი ევროპაში“.**

ნატო-ს ოფიციალურ საიტზე იენს სტოლტენბერგის ბიოგრაფიაა ატვირთული, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრად ყოფნისას, ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი გაზარდა, რის შედეგადაც, დღეს ნორვეგია ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა. აღნიშნულია ასევე, რომ სტოლტენბერგმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, რათა ნორვეგიის სამხედრო ნაწილებს, ნატო-ს ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა.

ყველაზე სექსუალური პოლიტიკოსის ცხოვრება პოლიტიკის მიღმა

მისი პირადი ცხოვრების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ჰყავს მეუღლე — ინგრიდ სკულერუდი, რომელიც პროფესიით დიპლომატია. სტოლტენბერგების წყვილს პირველი შვილი — ვაჟი ანსელი 1989 წელს შეეძინა, დღეს იგი ჩინურ ენას ეუფლება შანხაის უნივერსიტეტ იატონგში. 1992 წელს, იენსი გოგონას მამა გახდა. ანა-კატერინა კოპენჰაგენში კონსერვატორიაში სწავლობს და პროფესიონალ მომღერლობას აპირებს.

ოჯახის ახლობლები ამბობენ, რომ იენსი ხასიათით დედას ჰგავს — ძალიან კორექტულია და ყოველთვის ცდილობს, თავიდან აირიდოს კონფლიქტები. მშვიდი და განწონასწორებულია ოჯახშიც. პარლამენტის წევრიც კი, სამსახურში ველოსიპედით დადიოდა. მხოლოდ პრემიერობის დროს გახდა იძულებული, საყვარელ ტრანსპორტზე უარი ეთქვა და სახელმწიფო მანქანით ესარგებლა. ნორვეგიაში ამბობენ, რომ იგი ძალიან უშუალოა — მაშინაც კი, როცა პრემიერი იყო, სახლის ჩუსტებით მაღაზიაში ჩასულს შეიძლება გადაყროდი — მშვიდად აარჩევდა საყვარელ თევზს, დახლთან შეყოვნდებოდა, ყველაფერს კალათში მოათავსებდა, მერე რამდენიმე წუთს მშვიდად იდგა რიგში, ვიდრე სალაროსთან მისი ჯერი არ დადგებოდა. პრემიერობისას ერთხელ ისიც გადაწყვიტა, მოქალაქეების გულისტკივილი პირადად გაეგო, ამისთვის კი, ნორვეგიის ტაქსის მძღოლის უნიფორმაში გამოეწყო, სათვალე გაიკეთა, საჭესთან მოკალათდა და მთელი დღის განმავლობაში კლიენტებს მოემსახურა, ოღონდ უფასოდ. მანქანაში დამონტაჟებულ ფარულ კამერაზე ტაქსის მთელი დღე დაფიქსირდა, თუმცა მხოლოდ ერთმა მგზავრმა იცნო. მოგვიანებით, პრემიერის Facebook გვერდზე 4-წუთიანი ვიდეორგოლი აიტვირთა, სადაც ტაქსის მძღოლი იენსი, მგზავრთან განათლების საკითხებს განიხილავს, კორუფციის პრობლემაზე საუბრობს და იმაზეც მსჯელობს, ბუნებრივი რესურსები სწორად როგორ გამოვიყენოთ.

იენს სტოლტენბერგს უყვარს ბუნება და ყოველთვის გამონახავს დროს სადმე სასეირნოდ. ყველაზე ხშირად, მემკვიდრეობით მიღებულ ვილას სტუმრობს ნურლანდში, ბრასის კუნძულზე. სახლი, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებშია აშენებული, მას და მის დას, კამილას ეკუთვნის. სხვათა შორის, ამ ვილას სკანდალიც უკავშირდება — 2012 წელს ცნობილი გახდა, რომ სტოლტენბერგი გადასახადს არ იხდიდა და სახელმწიფოს ვალი, 24 ათასი დოლარი მართებდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს გაუგებრობა იყო და ექსპრემიერმა, გადასახადი იურისტების შეცდომის გამო არ გადაიხადა. ბევრმა მაშინ ჩათვალა, რომ „ვილის სკანდალი“ სტოლტენბერგს ოპონენტებმა მოუწყვეს, მაგრამ მიზანს ამჯერადაც ვერ მიაღწიეს — ვერც „გადასახადების დამმალავის“ იარლიყი მიაწებეს, ვერც კორუფციონერის, ტერორისტისგან შეშინებულის ან უსამართლო მმართველისა. სამაგიეროდ, ნორვეგიის ექსპრემიერს, „მზრუნველ მმართველთან“ ერთად, აქვს კიდევ ერთი სასიამოვნო ტიტული — 2004 წელს კანადის გუბერნატორ მაიკლ ჯინის შემდეგ, მსოფლიოში რიგით მეორე სექსუალურ პოლიტიკოსად აღიარეს. ნორვეგიელები ხშირად ხუმრობენ, რომ იენსს წლები ემატება, თმა უთეთრდება, სექსუალური პოლიტიკოსის ტიტულს კი დღემდე ამართლებს.

Facebook-მა ბავშვის მხედველობა გადაარჩინა

სოციალური ქსელის მომხმარებლებმა შეძლეს იშვიათი ოფთალმოლოგიური დაავადების გამოვლენა, რომელიც მემფისში მცხოვრებ სამი წლის გოგონას აღმოაჩნდა. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი მედიასაშუალება იუწყება, მას შემდეგ, რაც გოგონას დედამ, ტარა ტეილორმა საკუთარ გვერდზე ქალიშვილის — რილის ფოტო გამოაქვეყნა, მისმა ორმა მეგობარმა ყურადღება მიაქცია ბავშვის თვალის უჩვეულო, ყვითელ ფერს და დედას ურჩიეს, გოგონა ოფთალმოლოგთან მიეყვანა. ტარამ ქალიშვილი ექიმთან წაიყვანა, შედეგად კი რილის კოუტსის დაავადების საწყისი სტადიის დიაგნოზი დაუსვეს. ეს თვალის იშვიათი დაავადებაა, რომელსაც ბადურის სისხლძარღვების ანომალიური განვითარება ახასიათებს. როგორც წესი, დაავადება ცხოვრების პირველ ათწლეულში ჩნდება, ნელა ვითარდება და დაზიანებულ თვალში მხედველობის დაკარგვით სრულდება. აღსანიშნავია, რომ ბავშვებში კოუტსის დაავადების დიაგნოსტიკა ძალიან ძნელია, რადგან არ ახლავს თვალის ტკივილი და ან რაიმე სიმპტომი. ფოტოზე თვალის ყვითელი ანარეკლი, როგორც წესი, პათოლოგიის პირველი ნიშანია, დაავადების საწყის სტადიაზე ლაზერული ან კრიოთერაპია კი პაციენტს მხედველობას უნარჩუნებს.

სექსუალობის ხარისხი თითებგზეა დამოკიდებული

ადამიანის სექსუალობისა და მისი ქცევის შესახებ შეიძლება არა მხოლოდ ნიკაპმა ან ხმამ მიგანიშნოს, არამედ, როგორც სპეციალისტებმა გაარკვიეს, ხელის თითებმაც — ლივერპულის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეისწავლეს საჩვენებელი და არათითის შეფარდება სხვადასხვა სახის მაიმუნებში და შედეგები სექსუალურ თუ სოციალურ აქტივობას შეადარეს. თითების სიგრძის მიხედვით ადამიანის სექსუალურ აქტივობაშიც შეიძლება გავერკვეთ: რაც უფრო გრძელია მამაკაცის არათითი, მით აქტიურია მისი ინტიმური ცხოვრება, რაც შეეხება სუსტი სქესის წარმომადგენლებს, ვისაც, დაახლოებით, ერთნაირი სიგრძის საჩვენებელი და არათითი აქვს, შეუძლიათ გათხოვდნენ და ბევრი შვილიც გააჩინონ, ხოლო ის ქალები, რომლებსაც არათითი საჩვენებელზე გრძელი აქვთ, ჰომოსექსუალური კავშირებისკენ იხრებიან.

„მაკდონალდსი“ ხელოვნურ ხორცს გამოიყენებს



ამ დღეებში კომპანია „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ქსელის მენიუში ქათმის ხორცს გამოიყენებს, რომელიც ხელოვნურადაა შექმნილი. ეს შეთავაზება ჯერ ამერიკელი კლიენტებისთვის იქნება განკუთვნილი, ხოლო მოწონების შემთხვევაში, სქელის ყველა რესტორანი ხელოვნურ ხორცზე გადავა. როგორც ამბობენ, ქათმის არანატურალური ხორცის გემოს ნატურალურისგან ვერაფრით განასხვავებთ. მენიუში არსებული McNuggets-თვის ხორცს ნიუ-ჯერსის გენური ინჟინერიის სპეციალურ ლაბორატორიაში დაამზადებენ. კომპანიის პრეზიდენტის, დონ ტომსონის განცხადებით, დედამიწაზე კლიმატის ცვლილებასა და გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით, აზრი არ აქვს ცოცხალი წიწილების გაზრდას, გაცილებით ნაკლები ხარჯი სჭირდება სრულიად იდენტური ხორცის შექმნას ლაბორატორიაში.

ყველაზე სპორტული ევროპელები

ასეთებად შვედეთის მოქალაქეები დასახელდნენ, რომელთა შორის, ყოველი მეშვიდე დაკავებულია ფიზიკური ვარჯიშით და მხოლოდ 9% აღიარებს, რომ არ მისდევს სპორტს. შვედეთშივე დაფიქსირდა ადამიანების ყველაზე მეტი რაოდენობა, ვინც რეგულარულად დადის ფიტნესცენტრში (33%), არადა დანიაში გამოკითხულთა მხოლოდ 25% სტუმრობს სავარჯიშო დარბაზს. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სპორტში გაცილებით აქტიურები შვედი მამაკაცები არიან, ქალები კი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ დატვირთვას.

დაბეჭდილი სახლები მიუსაფართათვის

ჩინეთში, სადაც უსახლკაროების პრობლემა მწვავედ დგას, სპეციალისტებმა სწრაფი და იაფი მეთოდი მოიფიქრეს საცხოვრებლით დასაკმაყოფილებლად და იმავდროულად, ნარჩენების პრობლემასაც აგვარებენ. სამშენებლო 3D-პრინტერის მეშვეობით, ჩინურმა კომპანიამ ერთ დღეში ათი მცირე ზომის სახლი დაბეჭდა. მართალია, ისინი არ გამოირჩევა ესთეტურობით, მაგრამ სამაგიეროდ, 5 ათას დოლარზე მეტი არ ჯდება და თანაც მათ სამშენებლო ნაგვისგან „ბეჭდავენ“. მიღწეულმა შედეგმა უკვე უბიძგა კომპანიას, ასამდე ასეთი კომპლექსი დაამზადოს სამგამზომილებიანი პრინტერის მეშვეობით. ამით კომუნალურ პრობლემასაც მოაგვარებენ, ნაგვისგანაც გათავისუფლდებიან და ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნიან.

ოსლო — ყველაზე ძვირიანი ქალაქი

ბრიტანული კომპანია „პრაის რანერის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიოს უძვირეს ქალაქად კვლავ ნორვეგიის დედაქალაქი ოსლო რჩება. ამ სკანდინავიურ ქალაქში ფასები საშუალოზე 35,4%-ით მაღალია, სამომხმარებლო კალათა, 26 დასახელების პროდუქტისგან შედგება — ბიგ-მაკი, ავტობუსის ბილეთი, ბენზინი, პამპერსი, ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებები, სიგარეტი, წიგნები, კინოთეატრის ბილეთი, არაყი, კოკა-კოლა, ყავა, საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკა. მსოფლიოს უძვირესი ქალაქების რეიტინგში მეორე საფეხური დაიკავა დანიის დედაქალაქმა კოპენჰაგენმა, აქ ფასები საშუალოზე 16,6%-ით მეტია; მესამე ადგილი სპეციალისტებმა ბრაზილიურ სან-პაულუს მიანიჭეს, მეოთხეზე კი პარიზი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკი სიაში ბოლოდან მეოთხე ადგილზე გავიდა, შანხაის, ბანგკოკისა და მუმბაის შემდეგ. ნისლიანი ალბიონის დედაქალაქმა სიძვირის მხრივ მოწინავე პოზიციები დაკარგა და ახლა ლონდონი რეიტინგში მოკრძალებულ მეოცე ადგილზეა. ევროპაში ყველაზე იაფი ქალაქები აღმოჩნდა ვარშავა, პრაღა და ვილნიუსი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

032 239 38 23
599 25 13 31

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲒᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		1	4	6		2		8
		4			9		1	
					2			
8					5			
	4	5				6	2	
			7					1
			9					
	6		8			3		
3		9		2	7	5		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	4			6		1		
					9	5		
		8						
	2			1		3	7	
5				3				6
	8	6		9			1	
						2		
		1	8					
		9		7			6	

ᲠᲗᲣᲚᲘ

			8					9
4	9		2			3		
3				5			6	
8	4		9					
		6		2		9		
					5		1	7
	6			9				8
		4			1		3	6
7					8			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	4		2		9			
	2		3			5	9	
9		8						1
1							3	
			1	2	7			
	5							7
8						2		3
	7	4			1		6	
			5		2		1	8

ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲐᲔᲠᲘ – ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲧᲚᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰაერის დაბინძურება პლანეტაზე ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ დაასახელა. ახალი კვლევების თანახმად, 2012 წელს დაბინძურებული ატმოსფეროსგან გამოწვეული დაავადებების გამო, დაახლოებით 7 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ღარიბ და განვითარებად ქვეყნებში. ყველაზე დიდი დარტყმა, ამ მხრივ, ქალებსა და ბავშვებზე მოდის, რადგან ისინი ატარებენ უფრო მეტ დროს შენობაში, სადაც ღია ცეცხლის კერებია განთავსებული. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აცხადებს, რომ ატმოსფეროს განსაკუთრებული დაბინძურება დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც ინდოეთი და ჩინეთია. ექსპერტთა თქმით, უბრალო, მაგრამ გამართული საყოფაცხოვრებო ღუმელები მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს დაიცავდა, თუკი ამ ქვეყნების მთავრობა ჰაერის დაბინძურების პრობლემას უკეთ მიხედავდა. ცნობილია, რომ ჩინეთის დედაქალაქში ჰაერის დაბინძურებამ შარშან კრიტიკულ მაჩვენებელს მიაღწია, რომლის დროსაც ადამიანებს, განსაკუთრებით კი მოხუცებსა და ბავშვებს არ ურჩევენ გარეთ გასვლას.

კვერცხის გული ბავშვის გაჩენაში დაეხმარა

ინგლისელი ქალბატონი, რომელსაც აღარ ჰქონდა იმედი, რომ ოდესმე შვილს გააჩენდა, როგორც იქნა, დედა გახდა და ამაში კვერცხის გული დაეხმარა, რომელიც ირგანიზმში ინექციის სახით შეყავდათ. 23 წლის ლოტარინგია დონაკიუს ქალაქ ლივერპულიდან ექსვჯერ მოეშალა მუცელი, ათასობით დოლარი დახარჯა ბავშვის ტანსაცმელსა და სხვა საგნებზე იმ ექვსი შვილისთვის, რომელთაც დაბადება არ ეწერათ. იქამდე მივედი, რომ ახლობლები არ მეუბნებოდნენ, ბავშვს რომ ელოდებოდნენ. საკუთარი ძმისშვილის შესახებაც მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როცა ის უკვე ოთხი თვის იყო, — ამბობს დონაკიუ. ბავშვის გაჩენის ყოველი მცდელობა წარუმატებელი იყო და ლამის იმედგადაწურულმა მკურნალობის ახალ მეთოდზე შეიტყო. დედობის დიდმა სურვილმა ნოვატორული პროცედურის შესახებ უფრო მეტის გაგება აიძულა და ასე გაიცნო რაფეტ გაზვანი — ლივერპულელი გინეკოლოგი, უნაყოფობის მკურნალობის ახალი მეთოდის ავტორი. ბიოპსიის მეშვეობით ლოტარინგიამ შეიტყო, რომ მუცლის მოშლის მიზეზი, მის შემთხვევაში, მკვლელი-უჯრედები იყვნენ, რომლებიც თავს ესხმოდნენ ემბრიონს. ქალი ინტრალიპიდის — კვერცხის გულისა და მარილის ხსნარის მეშვეობით მკურნალობდა. ნაერთი მკვლელ-უჯრედებს ებრძოდა და ჩანასახს განვითარების საშუალებას აძლევდა. საბედნიეროდ, მკურნალობა წარმატებული აღმოჩნდა და იანვარში ლოტარინგიას ჯანმრთელი გოგონა შეეძინა.

სასარგებლო პროდუქტი „შავი სიიდან"

ამერიკელმა სწავლულმა ეველინ ნივსმა იმ შვიდი პროდუქტის შესახებ გვიამბო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ჯანსაღი კვების სისტემებში „შავ სიაში" იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა:

ქოქოსის კარაქი — ადრე მიიჩნეოდა, რომ მავნე ნაჯერი ცხიმების წყარო იყო, არადა აღმოჩნდა, რომ სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ამ პროდუქტში არსებული ტრიგლიცერიდები ქოლესტერინს ებრძვის და ორგანიზმზე ანტივირუსულ, ანტიბაქტერიულ და ანტიმიკრობულ ზეგავლენას ახდენს;

ყავა — მიიჩნევდნენ, რომ კოფეინი ნეგატიურად მოქმედებდა გულსისხლძარღვთა და ნერვულ სისტემაზე, ახლა კი გაირკვა, რომ ანტიოქსიდანტების წყაროა. გარდა ამისა, კოფეინი ნატურალური და ყველაზე უსაფრთხო სტიმულატორია. ამერიკელმა მეცნიერებმა კი დაამტკიცეს, რომ ყავა მეორე ტიპის დიაბეტის, პარკინსონისა და ალცჰეიმერის დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა.

მოუხდელი რძე — მიიჩნევდნენ, რომ სიმსუქნეს იწვევს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირიქით, სწორედ უცხიმო რძე აღვივებს მადას და ადამიანს აიძულებს, ხშირად ჭამოს. გარდა ამისა, ცხიმის გამოცლის პროცესი რძეში ისეთი სასარგებლო ვიტამინების კონცენტრაციას აქვეითებს, როგორიც არის მაგალითად, რეტინოლი — აუცილებელი თვალებისა და კანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.

მარილი — აღმოჩნდა, რომ მარილის უკმარისობა ნეგატიურად მოქმედებს ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესზე. ზღვის მარილი შეიცავს დიდი რაოდენობით ნარჩენ მინერალს, რაც აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

შოკოლადი — მიიჩნევდნენ, რომ შოკოლადი გამონაყარის, ჭარბი წონისა და გულძმარვის მიზეზი იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შავი შოკოლადის მოხმარება ამცირებს ინსულტის რისკს და აქვეითებს მაღალ არტერიულ წნევას. კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები, ვინც რეგულარულად მიირთმევენ შავ შოკოლადს, გაცილებით მოხდენილები არიან, ვიდრე ამ ტკბილეულზე უარის მთქმელები.

პოპკორნი — ადრე მას ტიპურ უსარგებლო ფასტფუდად მიიჩნევდნენ, მაგრამ რეალურად, სახლში ახლად მომზადებული პოპკორნი შეიცავს დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტებსა და პოლიფენოლებს, რომელთაც ონკოლოგიური და კარდიოვასკულარული დაავადებების განვითარების რისკის შემცირება შეუძლიათ. გარდა ამისა, პოპკორნი უჯრედისის წყაროა და თან ნაკლებადკალორიულია.

კვერცხი — ადრე მიიჩნევდნენ, რომ კვერცხს დიაბეტის პროვიცირება შეეძლო, მაგრამ გაირკვა, რომ ცილის იდეალური წყაროა. ამ პროდუქტს შესანიშნავად ითვისებს ადამიანის ორგანიზმი, მდიდარია რკინით, ლუტეინითა და ზეაქსანტინით, რაც მხედველობის შენარჩუნებაში გვეხმარება.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	3	2	1	8	7	4	6	5
1	8	5	4	9	6	7	3	2
6	4	7	5	3	2	1	9	8
8	7	9	2	1	3	5	4	6
5	6	4	9	7	8	3	2	1
3	2	1	6	4	5	9	8	7
7	5	3	8	6	4	2	1	9
4	1	6	7	2	9	8	5	3
2	9	8	3	5	1	6	7	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	7	3	8	1	4	2	6	5
6	5	4	7	3	2	1	9	8
2	1	8	9	6	5	7	4	3
5	3	2	6	4	1	9	8	7
1	6	9	5	8	7	4	3	2
4	8	7	2	9	3	5	1	6
3	4	5	1	7	6	8	2	9
8	2	6	4	5	9	3	7	1
7	9	1	3	2	8	6	5	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	6	7	5	4	3	2	9	8
9	5	4	2	1	8	7	3	6
3	8	2	6	9	7	5	1	4
8	9	6	4	7	2	3	5	1
7	2	5	3	8	1	6	4	9
4	3	1	9	6	5	8	2	7
6	4	3	8	2	9	1	7	5
5	1	9	7	3	6	4	8	2
2	7	8	1	5	4	9	6	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	6	7	2	1	5	9	4	8
4	5	8	3	7	9	2	1	6
2	1	9	8	6	4	7	5	3
1	9	6	5	8	3	4	7	2
8	4	5	6	2	7	3	9	1
7	2	3	9	4	1	8	6	5
5	7	4	1	3	2	6	8	9
9	8	2	7	5	6	1	3	4
6	3	1	4	9	8	5	2	7

მე-12 გვერდი: 1. ცენტნერი; 2. ელევატორი; 3. „ტიტანიკი"; 4. ირაო; 5. არეოპაგი; 6. „რერო"; 7. ორლოვი; 8. ავდარი; 9. ჰერტრუდა; 10. ურიალი; 11. აბო; 12. ზნე; 13. პრელუდია; 14. ასასინები; 15. ასალი; 16. იპოდრომი; 17. კუპე; 18. ავენტინი; 19. მაიამი; 20. ავარია; 21. საუნა; 22. ტრიბუნა; 23. ლაურა; 24. ომეგა; 25. მისისიპი; 26. იდენი; 27. აერაცია; 28. იაგანი; 29. იარა; 30. ვეროკიო; 31. ოშკი; 32. ეკონომია; 33. ლიე; 34. ყრუ; 35. შალე; 36. მონე; 37. ოდალისკი; 38. რეიდი; 39. „ნაბუკო"; 40. აპი; 41. ძნა; 42. ტუზი; 43. კრონა; 44. ბილ; 45. როუ; 46. პიუზო; 47. რიკული; 48. იობი; 49. ოდა; 50. მასნე; 51. ნაციზმი; 52. ობი; 53. ცია; 54. ბენ; 55. მაკლაი; 56. ცრუ; 57. ვაზი; 58. ესაძე; 59. აბე; 60. პანაცეა; 61. სიმონ; 62. ურვა; 63. ჭა; 64. იდილია.

1. სლოვაკეთის დედაქალაქი
2.განსაკუთრებული წესით ამოყვანილი ცხვრის ყელი
3. ავსტრალიის აბორიგენთა სატყორცნი იარაღი
4.საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა
5. დიდი ფრინველის პაერში ლივლივი
6. პიკნიკი ან მიღება ღია ცის ქვეშ
7. მზის სისტემის უდიდესი პლანეტა
8. ნული ქულა კაზინოში
9. მოზაიკის ფერადი ქვა
10. ინგლ. მუსიკოსი ... ჯონი
11.პრომეთეს მამა ბერძნულ მითოლოგიაში
12. ხმის გამაძლიერებელი-ლი კონუსისებური მილი
13. საჭმელების კეთების სპეციალისტი
14. ძეგლი ქვის წახნაგოვანი სვეტის სახით
15. დაბალი მაგიდა
16. (ძვ.) სიცხიანის სადები წამალი
17.ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური პრემია
18. ჭამა ერთ ჯერობაზე
19. სურნელოვანი მწვანილი
20.შაქართან ერთად ათქვეფილი კვერცხის ცილა
21. ჩინურ-იაპონური შაში
22. მდინარე მონღოლეთში
23. ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოში
24. პარფიუმერული ფირმა „... ლაუდერი“
25. კუნთების ტონუსის მოდუნება
26.მრგვალი თარიღის საზეიმო აღნიშვნა
27. ქორწინების წინა ცერემონია
28. შებოლილი ხორცი
29.თანხმობა დიპლომატიური მისიის მიღებაზე
30. იგივეა, რაც ტალანტი
31. განცხადება სპექტაკლის შესახებ
32.ტრადიციული ესპანური ცეკვის ჟანრი
33.ბალზაკის რომანში ნახსენები ტყავი
34. სმენის გასაძლიერებელი ხელსაწყო
35. იაპონური ავტომარკა
36.საპატიო ქალი, ოჯახის დედა ძვ. რომში
37. პატარა მტაცებელი ცხოველი ძვირფასი ბეწვით
38. მზის საგალობელი რაჭაში
39. იუდეველთა წმინდა წიგნი
40. ხუთი წერტილი კამათელზე
41.მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება
42.სწორად აზრდილი უტოტებო ხე
43. აბესალომის სატრფო
44. ისტორიკოსი ... მროველი
82 . გათიშვა კრივში
45. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით
46. ქალაქი ერაყში
47. ქალაქი საფრანგეთში
48. ძველებური წონის ერთეული
49. იგივეა, რაც ბოქლომი
50. სასტუმროს მსახური ბიჭი
51.იტალიის კუნძული ტირენის ზღვაში
52.რუმინეთის დიქტატორი ... ჩაუშესკუ
53. არგენტინული ცეკვა
54. ზღვის დიდი კიბო
55. ანარქისტი „ლაზარეს თავგადასავალში“
56. ელექტროგაყვანილობის სპეციალისტი
57. საჭმელების სია რესტორანში
58. შოკოლადის ხე
59. მოსკოვის ცნობილი ქუჩა
60. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
61. ამერიკელი მომღერალი ... რიდი
62.მარიტას სატრფო „ნატვრის ხეში“
63.პერანგის საყელოზე მოვლებული მარმაში
64. კოლხი მედეას დედა
65. ბინძური თოლების პატრონი
66. მდინარე ქუთაისში
67. ხანმოკლე შესვენება
68. შლამის თევზი
69.ანტიკური კავალერია
70.ცხრამეტის მომდევნო
71. „მე“ - ლათინურად
72. ოფიციალური სტუმრობა მცირე ხნით
73.გრიბოედოვის კომედია „... ჭკუისაგან“
74. ღრმა და ბნელი ორმო
75. ნირი, ხასიათი
76. ხეებით დაფარული ვრცელი ფართობი
77.ვიაჩესლავ ტიხონოვის ცნობილი კინოროლი
78. ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი
79. სასულთნო აზიაში
80. შინაური ფეხსაკიანი ფრინველი
81. სამოთხის ბაღი

ლუდი აჩლუნგებს

კამათი ლუდის სასარგებლო თუ მავნე თვისებების თაობაზე, დღესაც არ ცხრება — ამ ქარვისფერი სასმელის მოყვარულები დადებით თვისებებზე ამახვილებენ ყურადღებას, მოწინააღმდეგეებმა კი იმის მტკიცებულება იპოვეს, რომ ლუდი საკმაოდ მავნე ყოფილა — კვირაში ლიტრანახევარი ეს ქაფიანი სიამოვნება საკმარისია, რომ ადამიანის ტვინის აქტივობა 20%-ით დაქვეითდეს. ესპანელი სწავლულები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან, სამწლიანი კვლევების შედეგად აცხადებენ, რომ ლუდის სწორედ ასეთი რაოდენობა აჩლუნგებს — ექსპერიმენტებში მონაწილე მოხალისეთა ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც სვამდა 1,5 ლიტრ ამ გამაგრილებელ სასმელს, ნაწილი კი საერთოდ არ იღებდა ამ სითხეს. მოგვიანებით, მათ ტესტებს უტარებდნენ სხვადახვა ციმციმა სიმბოლოებზე და როგორც აღმოჩნდა, ლუდის მსმელთა ჯგუფი, შედეგების მისაღებად, გაცილებით მეტ ძალისხმევას ხარჯავდა, ვიდრე არამსმელები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.